ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 ივნისი ხუთშაბათი 2013
№143 (14 059) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯერ ადამიანობა, მერე სხვა დანარჩენი

2-3 ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან



ალვარო:
## დინამოდან ნასვლა არ მინდოდა, მაგრამ...
3

# ვიქტორის ისტორია ვიქტორია!



14



## რევიშვილმა გორის კარს მიუკაკუნა
2

ოლიმპი

## თვალმოკრული ამბავი
## ოლიმპი რეფორმების გზაზე?

ინტერნეტ-სივრცეში სოციალური ქსელების ექსპანსიამ ბევრი რამ დააყენა თავდაყირა. მაგალითად, დღეს გამოთქმა „ყურის მოკვრა" თავისუფლად შეგვიძლია შევცვალოთ „თვალის მოკვრით": ერთ სოციალურ ქსელში თვალი მოვკარით ინფორმაციას, რომლის მიხედვით სუპერლიგის კლუბ „ოლიმპში" ცვლილება იგეგმება - მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გია კაზანჯიანი** შესაძლოა **დავით თორთლაძემ** შეცვალოს.

# ბრაზიოლია, როცა გუნდში ნიმარია



8



## გოგიტა გოგუა ხაბაროვსკშია
სავარაუდო ტრანსფერი
2



## ბექდების მბრძანებელს მეშვიდე მატჩი გაარკვევს
15

ტრანსფერი



# რევიშვილი დილაში?

ნუკრი რევიშვილი

გორის „დილას" ორჯერადი ვარჯიშები აქვს და დამდეგი სეზონისთვის სელექციას აგრძელებს. გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო **ნუკრი რევიშვილმა**, ვისაც საქართველოს ნაკრებში 18 მატჩი აქვს ჩატარებული. 26 წლის მეკარე ბოლოს რუსული „კრასნოდარის" ფეხბურთელი იყო.

„დილაშია" საჩხერის „ჩიხურადან" წამოსული 33 წლის ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძეც**. გიორგი დევდარიანის გუნდში **ერიკ გაბარაევიც** მისულა, ვისაც თამარაშენის „ლიახვშიც" უთამაშია, ბოლოს კი რუსეთის ქვედალიგელ „სტავროპოლში" ირიცხებოდა.

ამ და სხვა ახალწვეულების „დილაში" ჩარიცხვა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

## სანდრო კობახიძე:
# თამაში ყველაზე მეტად ჰოლანდიაში მსურდა...



**სანდრო კობახიძე** ჯერ არ ამბობს, სად გააგრძელებს კარიერას. საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა სავარაუდო ტრანსფერებზე ინტერნეტ-გამოცემა "ფუტბოლთან" ილაპარაკა, მათ შორის, მოსკოვის "ლოკომოტივის" წინადადებაზეც, სადაც ხორვატი **სლავენ ბილიჩის** ნაცვლად, მთავარ მწვრთნელად **ლეონიდ კუჩუკი** დანიშნეს.

ეს ის ბელარუსი სპეციალისტია, რომელმაც კიევის "არსენალში" მიიწვია და ერთადერთი იყო სანდროს უკრაინულ კარიერაში, ბოლომდე რომ ენდო და ათამაშა. კუჩუკს ქართველი ლეგიონერი ძალიან მოსწონდა და მის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. შედეგად, მანამდე ჩრდილში მყოფი ქართველი გაიხსნა და "მეთოფეების" ფორმით საუკეთესო სეზონი ჩაატარა.

*"ცალსახად ვერ გეტყვით, მომავალ სეზონში კარიერას სად გავაგრძელებ, რადგან გადაწყვეტილი არაფერია. მოსკოვის "ლოკომოტივისა" და სხვა კლუბების დაინტერესების შესახებ მეც ინტერნეტიდან შევიტყვე. კუჩუკის და "ლოკომოტივის" ინტერესზე ყველაფრის თქმა არც მსურს. ცოტა ხნის წინ "დნიპრომ" კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზა. კვირის ბოლოს დნეპროპეტროვსკში ჩავფრინდები და კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები. ამის შემდეგ გაირკვევა, კარიერას სად გავაგრძელებ. "დნიპროსთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება მინდა, ეს ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, რომ მკითხაობას ვერ დავიწყებ"*, – თქვა კობახიძემ.

საყურადღებოა, რომ მოსკოვის "ლოკომოტივის" მიწვევაზე ინფორმაცია თავად „დნიპროს" პრესსამსახურმა გაავრცელა. იმის დასადგენად, რამდენად რეალურია ეს ტრანსფერი, "ლელო" სანდრო კობახიძეს დაუკავშირდა.

**- შენი ტრანსფერი ლამის ნომერ პირველი მნიშვნელობის საფეხბურთო ამბავი გახდა.**

- დამიჯერეთ, ჯერ ვერ ვიტყვი, რეალურია თუ არა "ლოკომოტივი". კუჩუკმა ჯერ კიდევ უკრაინაში მკითხა - გუნდში რომ დამნიშნონ, ჩემთან თუ წამოხვალო? მაგრამ მაშინ "ლოკომოტივზე" ლაპარაკი არ ყოფილა.

**- და რა უპასუხე?**

- ვუთხარი: „გააჩნია სად წახვალთ და რა პირობები იქნება". ეს იყო და ეს. ბოლო დღეებში აღარ დამკავშირებია.

**- კუჩუკთან "ლოკომოტივში" გადასვლაზე სერიოზულად არ გილაპარაკია?**

- "ლოკომოტივზე" არ გვილაპარაკია, რადგან მაშინ ჯერ კიდევ "ყუბანში" იყო და გარკვეული არ ჰქონდა, სად იმუშავებდა. ახლა მართლა არ ვიცი, "დნიპროში" დავრჩები თუ არა. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

**- "ვიტესი" გამოირიცხა?**

- აღარ მეხმიანებიან, თორემ ყველაზე მეტად ჰოლანდიაში თამაში მინდოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოგიტა გოგუა ხაბაროვსკში ვარჯიშობს

როდესაც გორის "დილაში" ვითარება აირია და ფინანსურად გაუჭირდა, მაშინვე ცხადი გახდა - გუნდს **გოგიტა გოგუა** დატოვებდა. 29 წლის ნახევარმცველი გორელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო და ძველებურად ველარ გადაუხდიდნენ.

გოგიტამ ახალი კლუბი მალე მოძებნა - ის უკვე რუსეთის ნაციონალური დივიზიონის (პირველი ლიგა) კლუბში, ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" ვარჯიშობს. რუსული "სპორტ-ექსპრესის" ცნობით, გუნდი მოსკოვის სამხრეთში მდებარე ცარიცინოს ულამაზეს ნაკრძალში ემზადება, გოგუა კი გასინჯვაზეა.

ხაბაროვსკელებმა პრემიერლიგის საგზური ვერ მოიპოვეს და "სკა-ენერგიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გიორგი დარასელია** გორის "დილას" ყოფილმა დამრიგებელმა **ვალდას ივანაუსკასმა** შეცვალა. ივანაუსკასი გოგუას "დილამდე" კარგა ხნით ადრე იცნობდა - 2005 წელს ქართველის წაყვანა შოტლანდიაში სურდა, სადაც მაშინდელ ვიცე-ჩემპიონ "ჰართსს" ავარჯიშებდა.

შეგახსენებთ, რომ "სკა-ენერგია" ქართველი ლეგიონერების უმრავლესობამ დატოვა და გოგუას გუნდში ჩვენებურებიდან მხოლოდ მარცხენა მცველი **გიორგი ნავალოვსკი** დახვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ლევან მჭედლიძე:
# ჯერ ადამიანობა, მერე სხვა დანარჩენი

### გაბრაზებული არავისზე არ ვარ, ჩემთვის კრიტიკაც სტიმულია

საქართველოს ეროვნული ნაკრების და იტალიური „ემპოლის" 23 წლის თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე შვებულებას სამშობლოში ატარებს.

მჭედლიძე ის ფორვარდია, ვისაც ბევრი შეუძლია, მისი დიაპაზონი ფართოა, თუმცა ტრავმიანობამ მას ძალიან შეუშალა ხელი...

მჭედლიძისგან გულშემატკივარი ბევრს იმიტომაც ითხოვს, რომ მასში დიდ პოტენციალს ხედავს. ლევანს კიდევ აქვს იმის შანსი, რომ გაცილებით მეტს მიაღწიოს - ასაკი და კარგი მონაცემები მას ამის საშუალებას აძლევს.

მაღალი, მოქნილი, ტექნიკური, აგრესიული ცაცია შემტევი - რომ არა მისი თვისებები, მჭედლიძე ხუთი წელი იტალიაში ვერ გაჩერდებოდა.

აპენინზე დაბრუნებამდე მჭედლიძეს ინტერვიუ ჩამოვართვით...



ლევან მჭედლიძე (№19)

**- „ლელომ" შეიტყო, რომ 2014-15 წლების სეზონიდან „პარმაში" აპირებ გადასვლას — როგორ გაიჩარხა ეს ტრანსფერი?**

- მენეჯერმა დამირეკა და ვისაუბრეთ ამ საკითხზე. 9 ივლისს უნდა ჩავიდე იტალიაში და ყველაფერი მერე გადაწყდება. აგენტმა მითხრა, რომ სხვა ვარიანტებიც არის.

**- ანუ „პარმაში" ტრანსფერი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის?**

- ჩემმა აგენტმა დავიდე ტორკიემ მითხრა, რომ „ემპოლი" და „პარმა" ყველაფერზე შეთანხმდნენ. „ემპოლის" პოზიცია ასეთი ყოფილა: 2013-14 წლების სეზონში ისევ სერია A-ში გადასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ეს ფეხბურთელი გვჭირდება, ამიტომ ტრანსფერი კიდევ ერთი წლით გადავდოთო.

**- და ამის შემდეგ გადასაწყვეტი რა რჩება? თავს იკავებ „პარმაში" გადასვლაზე?**

- მე უარი არ მითქვამს, უბრალოდ, სატელეფონო საუბრით ვერ მივიღებდი საბოლოო გადაწყვეტილებას.

**- „ემპოლიდან" ერთხელ უკვე წახვედი სხვა გუნდში - „პალერმოში" იჯარით თამაშობდი, თუმცა ის პერიოდი წარმატებული ვერ გამოდგა...**

- პრობლემები შემექმნა „პალერმოს" მწვრთნელ დელიო როსისთან. ისე მოხდა, რომ რვა თვე გამიცდა და მერე ისევ „ემპოლიში" დავბრუნდი.

**- მაინც რა პრობლემა შეგექმნა დელიო როსისთან?**

- ვარჯიშზე ერთი-ორჯერ შევლაპარაკდით, წმინდა სპორტულ თემაზე მოგვივიდა ეს ყველაფერი და ამ ამბავს ჟურნალისტებიც შეესწრნენ. მას შემდეგ, ამ მწვრთნელთან არანაირი საუბარი არ მქონია. გარკვეული დროის შემდეგ კი ვუთხარი - თუ არ გჭირდებით, „პალერმოდან" წავალ-მეთქი. როსიმაც მითხრა - წადიო, თუმცა ჟურნალისტებს ეუბნებოდა, მჭედლიძე მჭირდებაო. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ მიწევდა ყოფნა.

**- ბოლო სამი წელია, „ემპოლიში" თამაშობ და ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებული წარმატებები გქონდა. მოედანზე გასვლა გიწევს, თუმცა უფრო შეცვლაზე...**

- ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო „ემპოლისთან" რაიმე პრეტენზიები მაქვს. გუნდში გამოცდილი თავდამსხმელები - მასიმო მაკარონე და ფრანჩესკო ტავაო თამაშობენ, გოლებიც გააქვთ და წინა სეზონში იმდენი მოახერხა „ემპოლიმ", რომ კინაღამ სერია A-ში გადავიდა. ასე რომ, ვერავის ვერაფერს დავაბრალებ. ისიცაა, რომ ნაკრებში ალბანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მივიღე, კუნთი გავიწყვიტე და საკმაოდ დიდი ხანი მომიწია უქმობა. როცა ტრავმა არ მაწუხებდა და ფორმაში გახლდით, ყველანაირად ვგრძნობდი, რომ „ემპოლისთვის" საჭირო ფეხბურთელი ვიყავი.

**- იტალიურ ფეხბურთში მწვავე ფინანსური კრიზისია? ფაქტია, რომ ფეხბურთში გერმანია და ინგლისი უფრო წინ არიან წასულები, ვიდრე იტალია, სადაც სტადიონები აღარ ივსება...**

- კრიზისი მთელ მსოფლიოშია. გერმანია ყოველთვის გამოირჩეოდა მოწესრიგებულობით, კრიზისი კი ესპანეთშიც არის. შეიძლება ითქვას, რომ იტალიურ გუნდებში ფინანსური კრიზისი არ იგრძნობა. რა თქმა უნდა, გერმანიაში, ინგლისსა და ესპანეთში სტადიონებზე დასწრების მხრივ, უკეთესი სიტუაციაა, თუმცა იტალიაში კლავიშდებურად უყვართ და გიჟდებიან ფეხბურთზე. ემპოლიში დაახლოებით ოცი ათასი კაცი ცხოვრობს, თუმცა, როცა გუნდი სერია A-ში თამაშობდა, სტადიონი სულ ივსებოდა. ახლაც, პლეი ოფის შეხვედრებში, ტრიბუნებზე თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით. გუნდმა წარმატებული თამაშით უნდა აიყოლიოს გულშემატკივარი.

**- როგორც უნდა იყოს, ლევან მჭედლიძისგან ქართველი გულშემატკივარი გაცილებით მეტს ითხოვს და ამას, ალბათ, შენც გრძნობ. ბოლო დროს, მაინც როგორ თავდამსხმელად ჩამოყალიბდი „ემპოლიში"? ნაკრებში გამართული ბოლო შეხვედრებიდან ცოტა რთულია დასკვნების გამოტანა, რადგან ჩვენი გუნდი ნაკლებად არის ორიენტირებული შეტევაზე...**

- რაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს არის ის, რომ კაცი მოვატყუო, თამაში საკუთარ თავზე ავიღო. არ ვარ დამოკიდებული იმაზე, თუ როდის მომივა ბურთი მეტოქის საჯარიმოში, რაც შეიძლება მეტი შეხება მინდა მქონდეს ბურთთან. მესმის, რომ ჩემგან გაცილებით მეტს მოელოდნენ, ჩემთვის კრიტიკაც სტიმულია და გვერდში დგომაც. როცა მაკრიტიკებენ, საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას - რატომ? ერთი სიტყვით, არც ერთ იმ გულშემატკივარზე არ ვარ გაბრაზებული, ვისაც ჩემი აღარ სჯერა. ვცდილობ, ჩემი დავამტკიცო და იმედია, რომ ეს გამომივა.

**- „ემპოლიში" მეტწილად შეცვლაზე გიწევს თამაში - ეს ფსიქოლოგიურად როგორ მოქმედებს შენზე?**

- ამდენი ტრავმისა და იმედგაცრუების შემდეგ, საქართველოში რომ ვთამაშობდე, ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა. „ემპოლიში" კი ყველაფერი სხვანაირადაა. მწვრთნელი მოედანზე ჩემს შეშვებას რომ გადაწყვეტს და გახურებას ვიწყებ, უკვე ვგრძნობ დიდ მხარდაჭერას. დავილალეთ მჭედლიძის ამდენი ტრავმებით და გაუშვით გუნდიდანო - შეიძლება ეს ერთი-ორმა თქვას, მაგრამ მთლიანობაში დიდი თანადგომა მაქვს გულშემატკივრებისგან, თანაგუნდელებისგან, მწვრთნელისა და კლუბის ხელმძღვანელობისგან.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავერთოთ. რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე ღიად განაცხადა, ჩვენმა ნაკრებმა უნდა შეუტიოს, სულ დაცვაში არ უნდა ვიჯდეთო. საინტერესოა ლევან მჭედლიძის აზრიც ამ ყველაფერზე...**

- რა თქმა უნდა, მირჩევნია მარტო არ ვიყო და გვერდით კიდევ ერთი თავდამსხმელი მყავდეს. უნდა შევუტიოთ - სულ ასეთ გუნდებში მითამაშია. როცა ესპანეთია მეტოქე, თუ დაცვაში არ გამაგრდი, სხვანაირად ვერ ითამაშებ. ესპანეთთან და საფრანგეთთან სხვანაირად ძალიან რთულია თამაში. ამ ნაკრებების თითქმის ყველა ფეხბურთელი გრანდ კლუბში თამაშობს, მთელი სეზონის განმავლობაში 90 წუთის თამაში უწევს, სულ სხვა დონეზეა. ესპანეთთან ამისულაშვილის დარტყმა ძელს რომ არ მოხვედროდა და კარში გასულიყო, სასწაული იქნებოდა. რაც შეეხება ფინეთსა და ბელარუსს, როცა შეტევაში ამდენი სწრაფი, თამაშის საკუთარ თავზე ამღები ფეხბურთელი გვყავს... ნაკრებში არ ვართ მიჩვეული იმას, რომ შეტევაში ვითამაშოთ და თუ ამის პოტენცია არ გვაქვს, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**- საქართველოში ზოგი იმასაც ამბობს, მჭედლიძე ვარჯიშებს ზერელედ ეკიდებაო...**

- ასე რომ იყოს, ამდენი ხანი იტალიაში გამაჩერებდნენ?! არასდროს არ უნდა ილაპარაკო ის, რასაც საკუთარი თვალით არ ხედავ.

**- ექვსი წელია, რაც იტალიაში ხარ - არ არის დრო, სხვა ქვეყანაშიც მოსინჯო ძალა?**

- ჯერ არა. იყო გერმანიაში წასვლის ვარიანტები, მაგრამ მივეჩვიე იტალიურ სტილს და ჩემი მენეჯერიც იმას მირჩევს, რომ არ წავიდე იტალიიდან. სანამ სისტემატურად არ მომიწევს სასტარტო შემადგენლობაში თამაში, მანამდე სხვაგან წასვლას არ ვაპირებ.

**- როგორც გავიგეთ, საკმაოდ რელიგიური გახდი...**

- ვცდილობ ეკლესიურად ვიცხოვრო. ღმერთის რწმენა არის ის, რაც განაპირობებს ადამიანობას. ჩემთვის მთავარი სწორედ ეს არის, სპორტული მიღწევები და კარიერა ამის მერე მოდის. ჩემი მოძღვარი ბერი ზემო აჭარიდანაა.

**- მართალია, როცა პირველი მატჩები ითამაშე ეროვნულ ნაკრებში, შენით მიუნხენის „ბაიერნიც" დაინტერესდა?**

- კი, მაგრამ მაშინ არასრულწლოვანი ვიყავი ევროპაში ტრანსფერისთვის. „ემპოლიში" გახლდით, თუმცა არასრულწლოვანობის გამო, კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ მაკავშირებდა და სხვა გუნდს იოლად შეეძლო ჩემი წაყვანა. ეროვნულ ნაკრებამდე ყველა ასაკობრივ ნაკრებში მომიწია თამაში და როცა მიძახებდნენ, „ემპოლის" ეშინოდა, სხვა გუნდებიდან არ მიმეღო შემოთავაზება, ამიტომაც შევთანხმდით, რომ სანამ „ემპოლისთან" პროფესიულ კონტრაქტს არ გავაფორმებდი, სხვა გუნდში არ გადავიდოდი.

**- ბარემ შოტლანდიასთან მატჩი და ეროვნულ ნაკრებში პირველი გოლიც გავიხსენოთ. მაინც რა დავალება მოგცა კლაუს ტოპმიოლერმა?**

- შოტლანდიასთან თბილისურ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, იტალიასთან ჯენოაში გვქონდა შეხვედრა. მუხლის ოპერაციიდან სამი თვე იყო გასული. ჯენოაში „ემპოლის" ხელმძღვანელობაც ჩამოვიდა - ვარჯიში ნორმალურად არც კი დაგიწყია და რა ხდებაო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვგრძნობდი, რომ ნაკრებს რაღაცაში მაინც გამოვადგებოდი. „ემპოლის" დირექტორი და მენეჯერი ტოპმიოლერს ესაუბრნენ, მერე გერმანელი მეც დამელაპარაკა. როგორც ვიცი, ის დაპირდა „ემპოლის", მჭედლიძეს არ ვათამაშებო, მაგრამ იტალიასთან სასტარტოში გამაწესა. 0:2 წავაგეთ და საკუთარი თავითაც ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. ტოპმიოლერმა შოტლანდიასთან თამაშის დღეს, დილით მითხრა, მოემზადე, უნდა ითამაშო, კუთხური რომ იქნება, წინა ძელთან გადი, დღეს გოლს შეაგდებო. თუ არ ვცდები, მე-11 წუთზე კუთხურის ჩაწოდების უფლება მოვიპოვეთ, ზურაბ მენთეშაშვილმა რომ ჩააწოდა, წინა ძელთან გავედი და ბურთიც ჩემს წინ აღმოჩნდა. სასწაული გრძნობა დამეუფლა, 17 წლისამ პირველი გოლი გავიტანე ეროვნულ ნაკრებში...

**დავით თავართქილაძე**



სიტუაცია

## გულდასაწყვეტი ამბავი:
# ალვარო წავიდა...
### უჰრინიდან უჰრინამდე

...ხუთწლიანი პაუზის მერე თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება! ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე უკანასკნელად 2008 წელს იასპარეზა: პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი უპრობლემოდ დაძლია (ფარერების „რუნავიკთან") შემდეგ კი „პანათინაიკოსი" შეხვდა და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეც ბერძნული გრანდი გავიდა. 2008 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **რაინერ ცობელი** გახლდათ, არადა, გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა... სხვა მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოიპოვა. ეს „სხვა" კი, ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი (უფროსი)** იყო, — გამოცდილმა და აღიარებულმა მწვრთნელმა „დინამოს" XIII საჩემპიონო ტიტული მოუტანა და დამსახურებულ პენსიაზეც გავიდა. ამის მერე კი „დინამო" ვერაფრით ახერხებდა ჩემპიონობის მოპოვებას და აი, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ნავსი გატყდა: **დუშან უჰრინის (უმცროსი)** ხელმძღვანელობით გუნდმა ნანატრი ოქროს მედლებიც მიიღო და თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა! მოკლედ, „დინამოს" ბოლო ორი საჩემპიონო ტიტული მამა-შვილმა უჰრინებმა მოუტანეს, თუმცა, სხვაობა ის არის, რომ მამისგან განსხვავებით, უმცროსი-უჰრინი საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ არსად წასვლას არ აპირებს და მოახლოებულ ევროტურნირებსაც „დინამო" სწორედ მისი ხელმძღვანელობით ხვდება. მოგეხსენებათ, რომ ყოველ ზაფხულს განსაკუთრებული მოლოდინით ვხვდებით: 1981 წლის მართლაც დიდი „დინამოს" ტრიუმფის მსგავს წარმატებას არავინ ითხოვს, მაგრამ აი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა კი ლამის არის უტოპიად გვექცა. რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არც წლევანდელი ზაფხულია და „დინამოს" ერთგული ქომაგებიც (და, საერთოდ, ქართველი გულშემატკივრები) მოუთმენლად ელოდებიან 24 ივნისის წილისყრას. ჰო, კენჭისყრაზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, ბევრი, მაგრამ არა — ყველაფერი! ანუ, ყველასათვის ნათელია, რომ ის რესურსი, საქართველოს ჩემპიონობას რაც განაპირობებს, ევროტურნირებზე წარმატებულად ასპარეზობისათვის აღარ არის საკმარისი; ანუ, უმცროსმა უჰრინმაც და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებმაც ყველაზე უკეთ იციან, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის გუნდს გაძლიერება აუცილებლად სჭირდება. ამ შემთხვევაში „სახელიან" ახალწვეულებს ვგულისხმობთ, რომელთა გამოჩენასაც „დინამოს" ქომაგები სულმოუთმენლად ელოდებიან. შეგახსენებთ, რომ „დინამოს" ავსტრიული შეკრება გუშინ დაიწყო. აი, დღეიდან მოყოლებული კი სატრანსფერო სიახლეებს უნდა ველოდოთ. მით უფრო, რომ საქართველოში ჩატარებული ტრიუმფული სეზონის მიუხედავად, „დინამოს" ნამდვილად არ აწყენდა 3-4 მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატება. ჰოდა, როცა ევროტურნირების დაწყების წინ ყველა გუნდის გაძლიერებას ელოდება, აი, ამ დროს მართლაც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ლიდერის წასვლა!

## ბასკი მეგოლე

ახალი სეზონის პირველ საკონტროლო მატჩში (თბილისის „დინამო" — გიუმრის „შირაქი") **მიკელ ალვაროს** მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ეს ფაქტი არავის გაჰკვირვებია: სპარინგშეხვედრა იყო, ორ დღეში გუნდი შეკრებაზე მიდიოდა და ხომ შეიძლება მთავარ მწვრთნელს მის პოზიციაზე ვინმე პოტენციური ახალწვეულიც მოესინჯა. თანაც, „დინამო-არენის" პრეს-ლოჟაში „ოფიციალური" ვერსიაც დასახელდა: ალვაროს მცირე ტრავმა აქვს და ამიტომაც არ თამაშობსო. არადა, თურმე საქმე გაცილებით სერიოზულად ყოფილა და ყველაფერი მაშინ გაირკვა, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" ოფიციალურ ვებგვერდზე ავსტრიულ შეკრებაზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სია რომ გამოქვეყნდა. ალვარო იმ სიაში არ აღმოჩნდა და იქვე განმარტებაც იყო: „კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და „დინამოს" დატოვება გადაწყვიტა მიკელ ალვარომ". ჰო, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს ყველაფერი: ბოლო ორი სეზონის განმავლობაში გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება და „დინამოდან" წასვლაზე გადაწყვეტილებას იღებს?! რეალურად რა იყო ალვაროსა და „დინამოს" განშორების მიზეზი, ამას „ლელოს" დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ: ბასკი ფეხბურთელი არც მალავს, რომ კვლავაც საქართველოში, კერძოდ კი, თბილისის „დინამოში" სურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ...

მიკელ ალვარო „დინამოში" 2011 წელს ჩაირიცხა, თუმცა თანამემამულეებისგან (**ჩისკო, იაგუე, კოტო**) განსხვავებით, ოდნავ მოგვიანებით. ვიცოდით, რომ „დინამოს" იმდროინდელი მთავარი მწვრთნელის **ალექს გარსიას** განკარგულებაში კიდევ ერთი ესპანელი ფეხბურთელი უნდა გამოჩენილიყო, რომელიც მანამდე სეგუნდა-დივიზიონში (ესპანეთში რანგით მეორე ლიგა), „ნუმანსიაში" ასპარეზობდა და მის გამოჩენას თბილისის „დინამოში" ყველა ინტერესით ველოდით. მოლოდინი გამართლდა: სადებიუტო შეხვედრაშივე („ვიტ ჯორჯიასთან") ალვარომ გოლი გაიტანა, მერე კი ევროპის ლიგის პლეი ოფშიც ითამაშა ბერძნული აეკის წინააღმდეგ. მოკლედ, ალვარომ უპრობლემოდ დაიკავა ადგილი „დინამოს" ძირითადში და ასე გრძელდებოდა პირველი ეტაპის ბოლომდე. სიტუაცია შეიცვალა ალექს გარსიას გათავისუფლების შემდეგ: „დინამოს" ახალი თავკაცი **გიორგი დევდარიანი** ალვაროს შეცვლებზე ათამაშებდა ხოლმე; მერე იყო ის ცნობილი ეპიზოდი ქუთაისური მატჩიდან: „ტორპედოსა" და „დინამოს" შეხვედრაში ალვარო პირველ ტაიმში შეცვლაზე შევიდა, მეორეში კი... გამოცვალეს! შეცვლის „ოფიციალურ" მიზეზად ტრავმა დასახელდა, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ამის ნაკლებად სჯეროდა ვინმეს...

იმ სეზონის დასკვნითი ნაწილი ალვარომ კვლავ ძირითადში გაატარა — ამჯერად უკვე **რამაზ მუმლაძე** გახლდათ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი. სულ კი, ბასკი საყრდენის მონაგარი ასეთი იყო: 29 მატჩი და 7 გოლი.

აი, მომდევნო სეზონი კი ალვაროს საფეხბურთო კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო: „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა და უდიდესი წვლილი შეიტანა გუნდის ჩემპიონობაში! შეგახსენებთ, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ „ლელოს" ვერსიით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველად სწორედ ალვარო დასახელდა; სხვანაირად ვერც იქნებოდა: 30 წლის ნახევარმცველი 11-ჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში (ჩისკოს შემდეგ მეორე მაჩვენებელი), საუკეთესო ბომბარდირთა დავაში კი მეოთხე ადგილზე გავიდა! ჰო, ნამდვილად ჩინებული შედეგია, როცა ამპლუით საყრდენი (დუშან უჰრინი ხანდახან მარჯვენა ნახევარმცველადაც ათამაშებდა)



30 მატჩში 14 გოლს გაიტანს! მერე, გოლებსაც ხომ გააჩნია: II ტურში, ქუთაისის „ტორპედოსთან" თბილისში მართლაც ზღაპრული გოლი გაიტანა, აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც „ოქროს გოლზე", ამა წლის 27 აპრილს, გორის „დილას" კარში რომ შეაგდო!

...საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში რამდენიმე გამორჩეულ ლეგიონერი ყოფილა, რომელთა წასვლის გამოც გულშემატკივრებს გული დასწყვეტიათ: **ნედ ზელიჩი** და **მილოშ კრშკო, ანდერსონ აკინო** და **დე პორასი, რობერტას ფრიდრიკასი** და **ჟილვან ვიეირა**, ჰოდა, მიკელ ალვაროც ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ...

■ ■ ■

მიკელ ალვარო თავის ახალ კლუბს, სავარაუდოდ, ხვალ შეუერთდება: ბაქოს „ინტერი" უკვე ერთი კვირა ავსტრიაშია შეკრებაზე. **კახა ცხადაძისა** და **ზაურ სვანაძის** დამოძღვრილმა გუნდმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სპარინგი ჩაატარა: ავსტრიის მესამე ლიგის „ინსბრუკს" 8:0 მოუგო. „ინტერის" ქართველებიდან ითამაშეს **გიორგი ლომაიამ** და **ალექსანდრე იაშვილმა, ბაჩანა ცხადაძემ** კი შეხვედრა მცირე ტრავმის გამო გამოტოვა. „ინტერი" 22 ივნისს რუსულ „კრასნოდარს" ეთამაშება, 24 ივნისს — პრაღის „სლავიას", 27 ივნისს კი — მახაჩყალის „ანჟის" და სავარაუდოდ, სწორედ **გუუს ჰიდინკის** გუნდთან ჩაატარებს თავის ახალ გუნდში პირველ მატჩს მიკელ ალვარო...

**გია ტუხაშვილი**

## მიკელ ალვარო:
# წასვლა არ მსურდა

თბილისის "დინამომ" მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და ავსტრიაში გაემგზავრა. ცნობილი გახდა, რომ კლუბიდან **მიკელ ალვარო სალაზარი** წავიდა, რომელსაც კონტრაქტი დაუსრულდა - ესპანელი ნახევარმცველი კარიერას ბაქოს „ინტერში" გააგრძელებს.

ალვარო "დინამოს" საკვანძო ფიგურა იყო, გადამწყვეტი გოლებიც გაუტანია და ბევრმა იფიქრა - აზერბაიჯანში უკეთესი პირობების გამო წავიდაო.

მიკელ ალვარო ქართველ მეგობრებს შემდეგი განცხადებით დაემშვიდობა: *"დღეს თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტი შემიწყდა. გუნდიდან გულნატკენი მივემგზავრები, რადგან მრავალი ადამიანისგან, განსაკუთრებით, "გლადიატორებისგან" უდიდეს სიყვარულს ვგრძნობდი. სამწუხაროა, რომ "დინამო" უკვე ჩემი კარიერის განვლილი ეტაპია. ეს ორი წელი მე და ჩემს ოჯახს კარგად გაგვახსენდება და ძალიან მოგვენატრებით. ჩემს ახალ კლუბზე მალე გაცნობებთ".*

მიკელ ალვაროს კომენტარი ჩამოვართვით: *"მომხდარით ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. დიახ, ბაქოს "ინტერში" წავედი, მაგრამ ჩემი სურვილი "დინამოში" დარჩენა და კონტრაქტის ორი წლით გაგრძელება იყო. "ინტერის" მიერ შემოთავაზებულ ხელფასზე ნაკლებსაც დავთანხმდებოდი. "დინამოს", თბილისისა და ქართველების მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა გამიჩნდა, თითქოს, ჩემი მეორე სახლი გახდა. მაგრამ მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულება შემომთავაზეს და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გუნდი ჩემი დატოვებით დიდად დაინტერესებული არც იყო"*, – ამბობს ალვარო.

**მერაბ მამულაშვილი**

თავისუფალი თემა



# БУТЫРКА

## რეპორტაჟი ცუდი ადგილიდან

ფეხბურთზე წასვლასაც თავისი პრელუდია აქვს. როცა საქართველოს ნაკრები რომელიმე გრანდს ეთამაშება, რამდენიმე დღით ადრე მიდიხარ სალაროში და ძვირიან ბილეთს ყიდულობ. გინდა ნახო ვარსკვლავები და მათი შეხვლა საქართველოს ნაკრებთან. ითვლი თვეებს, დღეებს და თამაშიც გიახლოვდება. საქართველოს ნაკრებმა შინ გრანდებთან ყველა მატჩი წააგო ერთის გარდა - იტალიას 0:0 ვეთამაშეთ და საფრანგეთი 98-ზე მოხვედრა სათუო გავუხადეთ - იტალიამ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მერე პლეი ოფით გავიდა მუნდიალზე. ნეტავ, იმ დროს!...

საქართველოს ნაკრების მატჩებისთვის ემზადებიან ჩვენი სასახელო მეფსონეებიც. შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ არის და პატივცემული მეფსონეებიც საქართველოს ეროვნული გუნდის წაგებაზე დებენ ფულს. ეს უეჭველი მოგებაა, აქ გამართლება საჭირო აღარ არის. რაც ოქრო და ვერცხლი მაქვს, ყველაფერს საქართველოს ნაკრების წაგებაზე დავდებ - ასეთია პრელუდია გრანდების წინ.

მეფსონეები თურმე საქართველოს პირველ ლიგასაც შეუჩნდნენ და მიდის გაქანებული ყომარბაზობა. პირველი ლიგის მაიმუნობები თითქოს არ ჩანს, თითქოს არავინ არაფერს ამჩნევს. მიდი-მოვდივარ! ოღონდაც, პირველი ლიგის თამაშებზე ხალხი ძალიან ცოტა დადის და შესაბამისად, სტადიონზე წასვლის პრელუდიაც ვერ იქნება დიდად მნიშვნელოვანი.

ეროვნული ჩემპიონატის გულისფეთქვა ისევ პერიფერიებშია. ტრადიციული გუნდები ლიხს იქეთ უფრო გვეგულება, ვიდრე აქეთ. ცხადია, ამ გუნდების სტადიონებზე წასვლა არაერთხელ მომიწია და იმედია, კიდევ ბევრჯერ მომიწევს.

მიკროავტობუსები მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიიდან გადის. ხმაური და გამონაბოლქვი, დაბინძურებული ადგილები, დამტვრეული ასფალტის გზა და სავაჭრო ჯიხურები - თითქოს ყველაფერს იოლად ეგუები, სანამ შეხვდები ადამიანებს, რომელთა ხელობა ყვირილია. ორი კაცი და გავდივართ! საჩხერე გადის ხუთ წუთში! ზესტაფონი, ქუთაისი გავიდა!

მიკროავტობუსი იქ ბევრია და იმის არ გეშიანია - ჩახვალ თუ არა დანიშნულების ადგილამდე. გაივლი მყვირალა ხალხს და მიადგები მძღოლს, რომელიც დარწმუნებით გეუბნება, რომ მისი „მარშრუტკა" ათ წუთში გავა და არა მაშინ, როცა მგზავრებით გაივსება. თუ გულუბრყვილო არ ხარ, მიხვდები, რომ მიკროავტობუსი ათ წუთში არ გავა, რადგან ათ წუთში არ გაივსება. მძღოლის ტყუილი თურმე სერიოზულად არ უნდა მიიღო, ამ ტყუილს არ აქვს მკაცრი მნიშვნელობა, ეს ხელობის ნაწილია და თითქმის ყველა მგზავრი შეგუებულია ამას.

„მარშრუტკაში" ლოდინი სწორედაც რომ საქმეა. ჯერ ბანანის გამყიდველი მოგადგება, მერე ძველი ყვითელი ჟურნალების გამსაღებელიც, გთავაზობენ მოჭიქულ კვერებსა და სხვა ტკბილეულს, ხატებსა და სანთლებს, მოდიან მათხოვრებიც. ამასობაში გადის ათი წუთი, კიდევ ორი ამდენი და „მარშრუტკაც" იძვრის ადგილიდან.

იქ არასდროს არ ყოფილა ნაზარეველი. ცილდები მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიას და შვებაც თავისით მოდის. წამით დაფიქრდები იმაზე, ამ ყველაფერს რატომ არ აჩვენებენ ტელევიზორში, მაგრამ მეორე წამს ხვდები, რომ ეს აქტუალური არ არის ჩვენი პატივცემული ბიურგერებისთვის.

სანამ დედაქალაქიდან გახვალ, მძღოლი ბენზინგასამართ სადგურზე აჩერებს, მგზავრებიდან მოკრებილ ფულს ითვლის, სანვავს იმარაგებს და თავს იმის უფლებასაც აძლებს, MP3 ჩართოს და დამკვრელის ხმას აუწიოს.

აქ უკვე წინა პლანზე გამოდის რეპერტუარის თემა. ქართულ ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილი სიმღერები უცნობი მომღერლების შესრულებით - მგზავრების უმეტესობას ეს მოსწონს. ვისაც არ მოსწონს, აქვს იმის უფლება, მძღოლს ხმის დაწევა სთხოვოს. მალე გამოჩნდება მცხეთის სანახებიც, რასაც მოჰყვება პირჯვრის გადაწერა და იმედი, რომ ღმერთი არ მიგატოვებს.

არმისული გორამდე მძღოლი მეორე MP3-ს უშვებს დამკვრელში. მუსიკა რუსულია, ვიღაც ჩახლეჩილი ხმით მღერის და რაღაცნაირად ხვდები, რომ მძღოლის გარდა ეს მუსიკა რამდენიმე მგზავრსაც უკვნესებს გულს, ჯიგარს ედება და იწვევს ისეთ ჩაფიქრებას, ცივმა თუ ცეცხლიანმა ბუხარმა რომ იცის.

რუსული ბენდის სახელი მოვიკითხე და თამაშიდან დაბრუნებულმა მყის ინტერნეტში დავუწყე ძებნა. Бутырка - ჯგუფი, რომელიც თურმე თავის ჟანრში ერთ-ერთი საუკეთესოა. Бутырка ძველი ციხეა რუსეთში, ეკატერინე მეორის დროს აშენებული სატუსაღო, რომელიც დღესაც მოქმედია.

ლიხის გადალახვამდე მძღოლი ერთხელაც აჩერებს მანქანას. რიკოთზე ბევრი სასადილოა, მძღოლისთვის კი სულერთი როდია, თუ სად გააჩერებს. როგორც ერთმა მგზავრმა მითხრა, ასეთ სასადილოებში მძღოლებს უფასოდ ეძლევათ სადილი, რადგან გაჩერებული მიკორავტობუსიდან მგზავრებიც ჩამოდიან ხაჭაპურის თუ სხვა კერძის მისართმევად. ზოგიერთი ურჩი მგზავრი რიკოთის სასადილოსთან გაჩერების გამო წუწუნებს, მძღოლი და მისი თანამოაზრეები კი რკინის არგუმენტით იგერიებენ შემოტევას - ქალბატონო, საჭმელს ძაღლებსაც კი აჭმევენ! ასეთ რამეზე ჩივილი მხოლოდ ქალებს შეუძლიათ - ეს წესივითაა.

რიკოთის უღელტეხილზე მგზავრობა დამღლელია, თუმცა გულს ამასაც გადააყოლებს კაცი. ხევში, მდინარის პირას დაინახავთ რამდენიმე ვაკე ადგილს, სადაც ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ. „ბარსელონა", „ბაიერნი", „რეალი" - მათ, ალბათ, ამ გუნდების ფეხბურთელები აყვარებენ ფეხბურთს, ალბათ ასეთ გუნდებში თამაშზე ოცნებობენ, ან უბრალოდ ერთობიან. ეს ბავშვები ძაან სანახავები არიან, ღარიბი ოჯახებიდან გამოსულები, რაღაცნაირად ალალები და მხიარულები.

ლიხსიქითა სტადიონებზე კი ბევრი ხალხი აღარ დადის. „ტორპედოში" ცვლილებებია, „ზესტაფონს" გაუჭირდა, ფოთის და ბათუმის გუნდები უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ. თუმცა მეჩხერი ტრიბუნები მხოლოდ ამის ბრალი არ უნდა იყოს. ხალხს ისე აღარ ეფეხბურთება, როგორც ადრე, სიღარიბე დიდ ხანს გაგრძელდა.

მწუხრზე, სტადიონიდან გამოსულს ისევ „მარშრუტკით" მომიწია მგზავრობა. ახალი და საინტერესო აღარაფერი მინახავს, ერთი ეგ იყო, რომ უკანა რიგებში ნასვამი მგზავრები ისხდნენ და სიგარეტს მოურიდებლად ეწეოდნენ.

**დავით თავართქილაძე**

ტორპედო

## მზადება პირველი სპარინგისთვის

ქუთაისის "ტორპედო" უკვე ავსტრიულ შეკრებაზეა. **ჟერარდ სარაგოსას** გუნდი თბილისიდან მიუნხენში ჩაფრინდა, საიდანაც ავსტრიის კურორტ ობერტრაუნამდე ავტობუსით ორსაათნახევარი იმგზავრა. "ტორპედო" სასტუმრო "ბუნდესშპორტცენტრუმში" დაბინავდა.

ქუთაისელებმა პირველი ვარჯიშიც გამართეს. **გიორგი კუხიანიძისა** და **ნიკა ფირცხალავას** გარდა, რომლებსაც მცირე ტრავმები აქვთ, ყველა ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაშია.

"ტორპედოს" განკარგულებაშია ოთხი ბუნებრივი და ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ღია და დახურული აუზები, ასევე, ტანვარჯიშისა და სატრენაჟორო დარბაზები. შეგახსენებთ, 21 ივნისს "ტორპედო" ავსტრიის პირველ ბუნდესლიგაში ალზევებულ "გრიოდიგს" შეხვდება, 24-ში სლოვაკეთის ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან "კოშიცესთან" გამართავს ტესტმატჩს, 27 ივნისს კი სლოვაკეთის მეორე ლიგის მეორეადგილოსან "პოდბრეზოვას" გაეჯიბრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### განცხადება

ა.წ. 22 ივნისს „ბენდელას" სტადიონზე ჩატარდება საჩვენებელი მატჩი რეფეხბურთში (რეალური ფეხბურთი ხელით თამაშის გარეშე). ვახტანგ კოპალეიშვილის და გურამ კანდალიას „ცოლიანები" დაუპირისპირდება თენგიზ სულაქველიძის „უცოლოებს". მატჩის დასაწყისი 17 საათზე.

მატჩზე დასასწრებად ვიწვევთ სფფ-ს ხელმძღვანელობას, ვეტერან ფეხბურთელებს, მასმედიის წარმომადგენლებს, ყველას, ვინც დაინტერესებულია იხილოს საქართველოში დაბადებული სიახლე.

საორგანიზაციო კომიტეტი

წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# ბაჩო მიქავა:
# სამი წელი თავდასხმაში ვთამაშობდი

**ბაჩო მიქავა საქართველოს 19-წლამდელების ნაკრების წევრია. მაგრამ დღემდე ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ის დღეს "ლელოს" სტუმარია.**

**- შენს შესახებ მოგვიყევი.**

- აფხაზეთში, გალში დავიბადე. ჩემი ოჯახი იქ ომის შემდეგაც ცხოვრობდა, მაგრამ მალე მშობლები იძულებული გახდნენ, სახლ-კარი მიეტოვებინათ და თბილისში წამოსულიყვნენ. 2 წლიდან აქ ვიზრდები.

**- ვარჯიში სად დაიწყე?**

- თბილისის "მერანში", სადაც ჩემი მწვრთნელი გურამ ბარამია იყო. მერე საფეხბურთო აკადემია "ოლიმპში" გია ცეცაძესთან გადავედი. მანვე რუსთავის "ოლიმპის" დუბლშემადგენლობაში წამიყვანა. შემდეგ, მცირე ხნით ბოლნისის "სიონისა" და "გაგრას" დუბლშემადგენლობებში ვთამაშობდი. 2012 წელს, თბილისის "ლოკომოტივში" მიმიწვიეს, სადაც საკმაოდ კარგი სეზონი მქონდა. წლეულს კი ლამის მთელი "ლოკომოტივი" ქუთაისის "ტორპედოში" გადავედით.

სანაკრებო კარიერა კი 17-წლამდელებიდან დავიწყე და მერე 19-წლამდელებშიც მიმიწვიეს.

**- პიროვნება, ვინც შენს ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა.**

- გურამ ბარამია და გია ცეცაძე. ბარამიამ ფეხბურთის ანბანი და კიდევ ბევრი რამ მასწავლა, რაც მერე და მერე გამომადგა. ჩამოყალიბებასა და წინსვლაში გია ცეცაძე დამეხმარა - დიდ ფეხბურთში სწორედ მან შემადგმევინა ფეხი.

გუნდის წევრობა დიდი ბედნიერებაა.

**- ვიცით, რომ ბელგიასთან ორი ფორმა გქონდა და გამორიცხული არ იყო, წინა ხაზის მოთამაშე შეგეცვალა. სხვა პოზიციაზე ოდესმე გითამაშია?**

- დიახ, "მერანში" სამი წელი ცენტრალურ თავდამსხმელად ვთამაშობდი. სხვათა შორის, ერთ სეზონში 21 გოლიც გამიტანია.

**- შენი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრებისგან რას უნდა ველოდოთ?**

- მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს. მაიმედებს ჩვენი გუნდის თამაშის სტილი და მოთამაშეთა კლასი. რაც მთავარია, ეს არის გუნდი და არა უბრალოდ 11 მოთამაშე. სათადარიგოთა სკამიდან რომ ვუყურებდი, მსიამოვნებდა, ისეთ გუნდურ და შემტევ ფეხბურთს ვაჩვენებდით. თუ ჩვენი სტილის ერთგულნი დავრჩებით, არ გამოვრიცხავ, ევროპის ჩემპიონები გავხდეთ. ამაზე ბევრს გაეცინება, მაგრამ შესარჩევ ჯგუფში ინგლისი, ბელგია და შოტლანდია რომ შეგვხვდნენ, ჩვენს შანსებს მაშინაც ნულს უტოლებდნენ.

**-კონკურენტ გაბრიელ თებიძესთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- გაბისთან მხოლოდ ძმაკაცობა მაკავშირებს და არა კონკურენცია - ასეთი რამ ჩვენს შორის არ არსებობს! ის ძალიან მაგარი მეკარეა, რაც ამ ელიტ რაუნდზეც დაადასტურა და გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. კარგი მეკარე იქით იყოს, გაბი გულიანი ადამიანია და ურთიერთობა არ ეშლება.



ბაჩო მიქავა (მარჯვნივ)

**-გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა მაინც "ლოკომოტივიდან" გაგიცნეს, სადაც ძირითადი მეკარე იყავი.**

- დიახ, "ლოკომოტივში" შარშან ზაფხულს მიმიწვიეს, მთელი სეზონი სტაბილურად ვთამაშობდი, სასტარტოს მეკარე გავხდი და მუდმივი პრაქტიკა მქონდა - 30 ტურიდან 20 შეხვედრა ვითამაშე. მწვრთნელების მადლიერი ვარ, რომელთა ნდობასაც ვგრძნობდი. ეს მეკარეებზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს.

**- მანამდე სათამაშო პრაქტიკა გაკლდა?**

- მანამდე ერთი წელი "გაგრაში" ვიყავი, მაგრამ თამაშები მარტო ჭაბუკთა ლიგაზე მიწევდა, დუბლებში კი მხოლოდ 3 მატჩი ჩავატარე. ამის შემდეგ, პირველ ლიგაში გამოსვლა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

**- ერთადერთი ხარ, ვინც ელიტ რაუნდზე არ ითამაშა. საერთოდ, ცნობილია, რომ გუნდში ატმოსფეროს და წარმატებას სკამზე მჯდომის საქციელიც განაპირობებს.**

- რა თქმა უნდა, თამაში მინდოდა და გული მწყდებოდა, მოედანზე რომ ვერ გავდიოდი. მაგრამ გაბი თებიძე კარში ისე კარგად იდგა, მწვრთნელი როგორ ან რატომ შეცვლიდა? ან მის კარგ მეკარეობაზე ხომ არ უნდა დავბოღმილიყავი? პირიქით, გუნდი ისაა, სადაც სათადარიგოები მოედანზე მყოფებს გულიანად ქომაგობენ.

ალბათ, ადრე თუ გვიან, მეც მომეცემა თამაშის საშუალება და იმედია, შანსს გამოვიყენებ. ახლა კი მთავარია, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავედით და ამ

### დოსიე
### ბაჩო მიქავა

**დაიბადა:** 1994 წლის 1 იანვარს
**ამპლუა:** მეკარე
**სიმაღლე** 1.86 სმ
**წონა:** 78 კგ

**კარიერა**

| | |
|---|---|
| 2010 | რუსთავის "ოლიმპი" |
| 2011 | ბოლნისის "სიონი" |
| 2011-12 | "გაგრა" |
| 2012-13 | "ლოკომოტივი" (20 მატჩი) |
| 2013 | "ტორპედო" |

**- ქუთაისის "ტორპედოს" პირველი მეკარე ეროვნული ნაკრების კანდიდატი ომარ მიგინეიშვილია. სათადარიგოებში ჯდომის დიდი შანსი გაქვს და ეს რაში გაწყობს?**

- ეს არ მადარდებს, პირიქით, ძალიან მომწონს შექმნილი სიტუაცია. ასეთი გამოცდილი მეკარისგან ბევრს ვისწავლი და გავიზრდები. შანსი თუ მომეცემა, ჩემი აზრით, გამოვიყენებ.

**- ქუთაისის "ტორპედოს" შემადგენლობა ძალიან გაახალგაზრდავდა და ასე გუნდს ევროპის ლიგაზე არ გაუჭირდება?**

- ქართული გუნდები ვარსკვლავებს ისედაც ვერ წყვეტდნენ და იქნებ, ევროპას ჩვენი ახალგაზრდული მონდომება და ნიჭი მაინც ვაჩვენოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას საკლუბო კოეფიციენტი

# SOS!

## აზერბაიჯანი დაგვეწია!

### ესპანეთმა ინგლისი ტახტიდან ჩამოაგდო

25 მაისს „უემბლიზე“ დასრულდა ჩემპიონთა ლიგა და ამით ევროთასების სეზონიც. მიუნხენის „ბაიერნი“ საკლუბო ევროპის ტრიუმფატორია. ამის შემდეგ საბოლოოდ დალაგდა უეფას ახალი საკლუბო კოეფიციენტი ქვეყნებს შორის, რომლის მიხედვითაც დგინდება კვოტები ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის გათამაშებაში. თუმცა ერთი ახლავე უნდა ითქვას: ახალ სეზონში უეფა 2012 წლის კოეფიციენტებით იხელმძღვანელებს, ახალი რეიტინგით კი 2014/15 წლების სეზონში იხელმძღვანელებენ.



გერმანიას რეიტინგში ყველაზე მეტი ქულა „ბაიერნმა“ მოუტანა

## ესპანეთი პირველია

სანაკრებო კოეფიციენტი, ეს არის ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში დაგროვილი სარეიტინგო ქულების ჯამი. სწორედ ამ მაჩვენებლების შეჯერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უეფას მიხედვით, საუკეთესო კოეფიციენტი აქვს ესპანურ ლა ლიგას - 88 ქულა. ესპანეთი ამ სეზონის წინ 0,3 ქულით ჩამორჩებოდა ინგლისს, მაგრამ ესპანურმა კლუბებმა უკეთ იასპარეზეს და ახლა სხვაობა უკვე იბერიელთა სასარგებლოდაა და თანაც 5 ქულა!

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორმა გერმანულმა კლუბმა ითამაშა და ბუნებრივია, ყველაზე მეტი ქულა ამ სეზონში ბუნდესლიგამ შეიმატა - 17,9. შედარებისთვის, წინა სეზონში საუკეთესო ინგლისელთა მიღწევა იყო - 20,8 ქულა. აქვე ვიტყვით, რომ 2010/11 წლების სეზონი საუკეთესო პორტუგალიელთათვის იყო - 18,8 ქულა, ხოლო 2009/10 წლების სეზონი გერმანელთათვის - 18,1.

შარშანდელთან შედარებით კიდევ არის ცვლილებები მოწინავე ათეულში: უკრაინამ რუსეთსა და ჰოლანდიას გაუსწრო და მე-7 ადგილზე მოკალათდა. ათეულიდან გავარდა საბერძნეთი, რომელიც თურქეთმა ჩაანაცვლა.

## ფინეთს გავუსწარით, სლოვენიამ გაგვასწრო

ვინაიდან ეს კოეფიციენტი საკმაოდ ობიექტურ შეფასებას იძლევა ამა თუ იმ ლიგის სიძლიერეზე სხვებთან მიმართებაში, ჩვენ, პირველ რიგში ეროვნული პირველობის მდგომარეობა გვაინტერესებს. შარშან და ახლაც საქართველოს მდგომარეობა უცვლელია - 53 ქვეყნის სიაში 31-ეა. თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც მოხდა.

შარშან საქართველოს 8,6 ქულა ჰქონდა, წლეულს 9,1 ქულა აქვს. მართალია, გავასწარით ფინეთს, მაგრამ გადაგვისწრო სლოვენიამ. ამიტომ ადგილი არ შეგვიცვლია, თუმცა სახიფათოდ მოგვიახლოვდა აზერბაიჯანი 8,5 ქულით (6,2 ჰქონდათ). შარშან ევროთასებზე ქართულმა გუნდებმა მხოლოდ 1,5 ქულა დააგროვეს, რაც ბოლო წლებში ყველაზე ცუდი შედეგია. შედარებისთვის,წინა წელს საქართველომ 2,8 ქულით გაიუმჯობესა რეიტინგი.

ასეა თუ ისე, საქართველოს ჩემპიონატი ჯერჯერობით 22 ქვეყნის ლიგისაზე უკეთესია, საერთაშორისო არენაზე ნაჩვენები შედეგები ასეთ სურათს გვიხატავს.

### 2013 წლის უეფას საკლუბო კოეფიციენტი ქვეყნებს შორის

| ადგ. | ქვეყანა | 2012/13 | სულ |
|---|---|---|---|
| 1. (+1) | ესპანეთი | 17.714 | 88.025 |
| 2. (-1) | ინგლისი | 16.428 | 82.963 |
| 3. (-) | გერმანია | 17.928 | 79.614 |
| 4. (-) | იტალია | 14.417 | 64.147 |
| 5. (-) | პორტუგალია | 11.750 | 59.168 |
| 6. (-) | საფრანგეთი | 11.750 | 59.000 |
| 7. (+2) | უკრაინა | 9.500 | 49.758 |
| 8. (-1) | რუსეთი | 9.750 | 46.332 |
| 9. (-1) | ჰოლანდია | 4.214 | 44.729 |
| 10. (+1) | თურქეთი | 10.200 | 34.500 |
| 11. (+1) | ბელგია | 6.500 | 34.400 |
| 12. (-2) | საბერძნეთი | 4.400 | 34.000 |
| 13. (+1) | შვეიცარია | 8.400 | 28.950 |
| 14. (+2) | კვიპროსი | 4.000 | 26.833 |
| 15. (-2) | დანია | 3.300 | 25.700 |
| 16. (-1) | ავსტრია | 2.250 | 25.375 |
| 17. (+2) | ჩეხეთი | 8.250 | 23.475 |
| 18. (+4) | რუმინეთი | 6.800 | 23.024 |
| 19. (-2) | ისრაელი | 3.250 | 22.875 |
| 20. (+3) | ბელარუსი | 4.500 | 20.875 |
| 21. (-1) | პოლონეთი | 2.500 | 20.750 |
| 22. (-1) | ხორვატია | 4.375 | 19.583 |
| 23. (+1) | შვედეთი | 5.125 | 15.625 |
| 24. (-6) | შოტლანდია | 4.300 | 15.191 |
| 25. (+2) | სერბეთი | 3.000 | 14.625 |
| 26. (-1) | სლოვაკეთი | 1.500 | 14.208 |
| 27. (-1) | ნორვეგია | 4.900 | 14.175 |
| 28. (-) | ბულგარეთი | 0.750 | 12.250 |
| 29. (-) | უნგრეთი | 3.000 | 11.750 |
| 30. (+4) | სლოვენია | 3.250 | 9.708 |
| 31. (-) | საქართველო | 1.500 | 9.166 |
| 32. (+5) | აზერბაიჯანი | 3.000 | 8.541 |
| 33. (-3) | ფინეთი | 2.000 | 8.508 |
| 34. (-2) | ბოსნია | 1.125 | 1.250 |
| 35. (+1) | მოლდოვა | 2.250 | 7.666 |
| 36. (-3) | ირლანდია | 1.500 | 1.000 |
| 37. (-2) | ლიტვა | 1.125 | 6.500 |
| 38. (+2) | ყაზახეთი | 1.375 | 5.958 |
| 39. (-1) | ლატვია | 1.250 | 5.791 |
| 40. (+1) | ისლანდია | 1.250 | 5.416 |
| 41. (-2) | მაკედონია | 1.250 | 5.250 |
| 41. (+1) | ჩერნოგორია | 1.375 | 5.250 |
| 43. (+1) | ალბანეთი | 0.750 | 4.166 |
| 44. (+1) | მალტა | 0.875 | 3.958 |
| 45. (-2) | ლიხტენშტ. | 0.000 | 3.500 |
| 46. (+3) | ლუქსემბურგი | 1.375 | 3.375 |
| 47. (+1) | ჩრდ. ირლანდია | 0.500 | 1.000 |
| 48. (-2) | უელსი | 0.500 | 2.583 |
| 49. (-2) | ესტონეთი | 0.375 | 2.208 |
| 50. (-) | სომხეთი | 0.875 | 1.750 |
| 51. (-) | ფარერები | 0.500 | 1.583 |
| 52. (+1) | სან მარინო | 0.000 | 0.666 |
| 53. (-1) | ანდორა | 0.000 | 0.500 |

ევროპის ჩემპიონატი. U21.



ბუცები დარიგდა: ტიაგო ალკანტარა, ალვარო მორატა და ისკო

## ყველაფერი ესპანეთს!

### ოქროს ფეხბურთელი ისკო, ოქროს ბუცი მორატას

ევროპის მორიგი ახალგაზრდული პირველობა ფეხბურთში უკვე ისტორიის კუთვნილებაა - 5-18 ივნისს ისრაელმა უმასპინძლა 21-წლამდელთა ტურნირს, გამარჯვებული დარჩა ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები ხულიენ ლოპეტეგის ხელმძღვანელობით, რომელმაც ფინალში ტიაგო ალკანტარას ჰეთთრიკის წყალობით 4:2 დაამარცხა იტალიის გუნდი.

## იტალიას თითქმის დაეწივნენ

ფინალური მატჩის შესახებ უკვე ვწერდით, ახლა კი ტურნირის ნომინანტებზე ვისაუბრებთ.

ესპანეთის ნაკრებისთვის ეს გამარჯვება მე-4 იყო ახალგაზრდულ ასპარეზზე. „როხიტამ“ აქამდე 1986, 1998 და 2011 წლებში იმარჯვა. ესპანელები ორჯერ ფინალში დამარცხდნენ, 1984 და 1996 წლებში.

მარცხის მიუხედავად, იტალიის ახალგაზრდული ნაკრები ყველაზე ტიტულოვან გუნდად რჩება. „აძურინიმ“ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი 5-ჯერ მოიგო: 1992, 1994, 1996, 2000 და 2004 წლებში. იტალიელებიც ორჯერ დამარცხდნენ ფინალში: ახლა და 1986 წელს (ორივეჯერ ესპანელებთან).

ამ ორი ქვეყნის შემდეგ, ორ-ორი ტიტულით მოდიან: ინგლისი (1982, 1984), ჰოლანდია (2006, 2007) და ქვეყანა, რომელიც დღეს (საბედნიეროდ) აღარ არსებობს - საბჭოთა კავშირი (1980, 1990). თითოჯერ ჩემპიონები იყვნენ: საფრანგეთი (1988), ჩეხეთი (2002), გერმანია (2009) და აღარ არსებული იუგოსლავია (1978).

## ისკო, მორატა, ტიაგო...

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ალვარო მორატა** გახდა, მადრიდის „რეალის“ 20 წლის შემტევმა ფინალის გარდა ყველა მატჩში თითო გოლი გაიტანა და 4 გოლით „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდა. ვერცხლის და ბრინჯაოს ბუცებიც ესპანელებს შეხვდათ: **ტიაგო ალკანტარას** და **ისკოს**. 22 წლის ბარსელონელმა 3 გოლი გაიტანა, 21 წლის მალაგელმაც ამდენივე, მაგრამ ტიაგოს „ვერცხლი“ ერთი საგოლე პასის გამო შეხვდა.

„ამის მიღწევა ძალიან ძნელი იყო, მით უმეტეს, როცა ხშირად მიწევდა შეცვლაზე შესვლა, მაგრამ გამიმართლა. ამ ტურნირიდან შინ ბედნიერი მივდივარ, „ოქროს ბუცისთვის“ კი მადლობას მთელ გუნდს ვუხდი. უმაგათოდ არაფერი გამომივიდოდა“, - განაცხადა ალვარო მორატამ, რომელიც მართლაც უფრო თადარიგის ფეხბურთელი იყო, მეორე ტაიმში შემოდიოდა და მარცხენა ფლანგიდან იკლებდა მეტოქეებს. ამ თამაშით ალვარომ სერიოზული განაცხადი გააკეთა „სამეფო კლუბის“ პირველ გუნდში დამკვიდრებაზე.

შეგახსენებთ, რომ წინა ტურნირის ბომბარდირი ესპანელი იყო - **ადრიან ლოპესმა** 5 გოლი გაიტანა.თუ საკვალიფიკაციო მატჩებსაც ჩავთვლით, ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი ასევე ესპანელი **როდრიგოა** - 12 გოლი (3 გოლი ჩვენი ნაკრების კარში).

ტურნირის საუკეთესო (ოქროს) ფეხბურთელად ისკო დასახელდა, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანმა ალკანტარამ ფინალში ჰეთთრიკი შეასრულა. წინა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელიც ესპანელი იყო - **ხუან მატა.**

## იქნებ, ჩეხეთში წავიდეთ...

ევრო 2015 ჩეხეთის რესპუბლიკაში გაიმართება. იქამდე ორი წელიწადია, თუმცა ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი უკვე დაწყებულია და 11 აგვისტოს ყაზახეთის და სომხეთის მატჩით განახლდება. ამ გუნდებს, ისევე როგორც საქართველოს, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის იმედი აქვთ.

ჩვენთვის კი ჩემპიონატი 5 სექტემბერს ლუქსემბურგელებთან საგარეო მატჩით დაიწყება. ამ შეხვედრაში ნაკრებს **ალექსანდრე ჩივაძე** გაიყვანს. ჩვენი ახალგაზრდული გუნდი მე-3 ჯგუფშია, სლოვაკეთთან, შოტლანდიასთან, ჰოლანდიასთან და ლუქსემბურგთან ერთად. სხვათა შორის, ლუქსემბურგმა უკვე ორი მატჩი გამართა: სტუმრად 0:3 დამარცხდა შოტლანდიასთან, ხოლო ახლახან (11 ივნისს) შინ 1:7 განადგურდა სლოვაკეთთან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასოდეს უთამაშია...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.:514 933 933
ქუთაისი, ქვიტირი ტელ.: 514 923 923
www.tuv.com TÜV

ამბები


ფაბიო კაპელო

## კაპელო პსჟ-ში, მანჩინი - რუსეთის ნაკრებში

„სქაის“ ცნობით, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** „პარი სენ-ჟერმენს“ ჩაიბარებს, ხოლო მის ადგილს კიდევ ერთი იტალიელი, **რობერტო მანჩინი** დაიკავებს.

ამ ინფორმაციის მიხედვით, კაპელო პარიზში გადასვლასთან ძალიან ახლოსაა, რუსეთის საფეხბურთო კავშირი კი ამის გამო კომპენსაციას მიიღებს პსჟ-სგან.

48 წლის მანჩინი, რაც „მანჩესტერ სიტიდან“ გააგდეს, უმუშევარია. სხვათა შორის, მანჩინის რუსეთის ნაკრებთან ადრეც აკავშირებდნენ.

## პუიოლმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა

„ბარსელონას“ 35 წლის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

ვეტერან მცველს ექიმებმა მუხლიდან კისტა ამოაცალეს. ექიმთა ვარაუდით, პუიოლი მწყობრში მხოლოდ 3-4 კვირის მერე ჩადგება.

ბოლო სეზონში პუიოლმა მხოლოდ 22 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ის მარტის მერე მოედანზე არ გვინახავს. ეს ოპერაცია სეზონში მესამე იყო კარლესისთვის

## ბარსას მატა სურს

„ბარსელონას“ სამწვრთნელო საბჭო ძალზე დაინტერესდა „ჩელსის“ ესპანელი შემტევით - საუბარი **ხუან მატაზეა.**

ინფორმაციის გავრცელებას ისიც უწყობს ხელს, რომ საყოველთაო აზრით, **ჟოზე მოურინიო** მატას ტრანსფერზე დაყენებას გეგმავს. ტიტო ვილანოვას ახალი ფეხბურთელების შეძენაზე კარტ-ბლანში აქვს.

თავად მატა კი გაოცებულია, საიდან მოდის ინფორმაცია, რომ ჟოზე მოურინიოს მასთან მუშაობა არ სურს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ დატოვება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი **ტიაგო ალკანტარას.**

## იგუაინი არსენალში 26 მილიონად

ინგლისელი ჟურნალისტები ლონდონის „არსენალში“ **გონსალო იგუაინის** ტრანსფერს უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევენ. უახლოეს დღეებში არგენტინელი ფორვარდი **არსენ ვენგერის** გუნდთან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ინფორმაციის თანახმად, მადრიდის „რეალი“ და „არსენალი“ 26 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. თუკი ასე მოხდა, ეს ტრანსფერი „არსენალის“ ისტორიაში რეკორდული იქნება.

## რეალი ისკოს და ბეილს ივლისში წარადგენს

ესპანური პრესის ცნობით, მადრიდის „რეალი“ **ისკოს და გარეთ ბეილს** ივლისში იყიდის. 21 წლის ისკოს თაობაზე „მალაგასთან“, ხოლო 24 წლის ბეილის შესახებ „ტოტენჰემთან“ მოლაპარაკებებს გენერალური დირექტორი **ხოსე ანხელ სანჩესი** აწარმოებს.

პრესის ცნობით, ორივე ტრანსფერი სავარაუდოდ განხორციელდება, თუმცა დეტალების შეთანხმებას დრო სჭირდება. შეგახსენებთ, რომ ახლახან ისკო ევროპის ახალგაზრდული პირველობის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნაპოლი

# ოპერაცია ედინსონ კავანი

## მორატა და ხედირა ნაპოლის სამიზნეში

დიდი ალბათობით, **ედინსონ კავანი** დატოვებს „ნაპოლის“, მის მომავალ კლუბად კი მადრიდის „რეალი“ სახელდება. ბოლო დღეებში, თვითონ ფეხბურთელმაც და მისმა აგენტმაც პირენეელებთან მოლაპარაკებისთვის მზაობა გამოთქვეს, ედისონმა კი არაერთხელ აღნიშნა, რომ „რეალში“ თამაში მისი ბავშვობის ოცნებაა. მოკლედ, კავანი მზადაა სამეფო კლუბში გადაბარგდეს და მთავარია, როგორ წარიმართება მადრიდულ-ნეაპოლური მოლაპარაკება...

ძველი ამბავია, რომ იტალიელები 26 წლის ურუგვაელის სანაცვლოდ 63 მილიონ ევროს ითხოვენ, ბოლო ინფორმაციით კი მადრიდელებს 50 მილიონი აქვთ გადადებული. კულუარული ინფორმაციით, **აურელიო დე ლაურენტისი** ფასის დაგდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ სამეფო გუნდიდან „ნაპოლიში“ მისთვის სასურველი ფეხბურთელი გადაბარგდება. ასეთი ორია: **სამი ხედირა** და **ალვარო მორატა.** იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია შესული და ამ პროცესში თვითონ ფეხბურთელებიც არიან ჩართულნი.


ალვარო მორატა და სამი ხედირა

სამი ხედირას წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, ალვარო მორატაზე კი მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ახლახან დასრულებული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მორატა **ტელიოსთან, ალკანტარასთან** და **ისკოსთან** ერთად, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია და გასაკვირი არაა, რომ დე ლაურენტისმა თვალი სწორედ მას დაადგა.

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# მონაკომ მილანს შეუტია

## 60 მილიონი ელ შაარავის და ბოატენგის სანაცვლოდ

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იტალიურ სპორტულ მედიაში, რომლის თანახმადაც „მილანის“ მესვეურებმა „მონაკოსგან“ მაცდური შეთავაზება მიიღეს. ლაპარაკია 60 მილიონ ევროზე, რომელსაც მონაკოელები ლომბარდიელებს **სტეფან ელ შაარავის** და **კევინ პრინს ბოატენგის** სანაცვლოდ სთავაზობენ. მართალია, **ადრიანო გალიანის** თანხაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ შეთავაზება რომ მიიღო, დაადასტურა:

*„სტეფან ელ შაარავის და კევინ პრინს ბოატენგის გადაბირება არაერთ კლუბს სურს, მათ შორის „მონაკოს“ და ვადასტურებ, რომ მეტად სერიოზული წინადადება მივიღეთ. კოლოსალურ თანხებზეა ლაპარაკი და ბუნებრივია, მოლაპარაკებაში ჩაბმა მოგვიწევს. თუმცა, ნამყვან ფეხბურთელთა გასხვისება ჩვენს გეგმებში არაა და ისიც არაერთხელ მითქვამს, რომ სტეფან ელ შაარავი არ იყიდება. სტეფანის და ბოატენგის გარდა, მონაკოელებს კიდევ ერთი ფეხბურთელის გადაბირება სურთ, მაგრამ არც მის გაშვებას ვაპირებთ“.*


კევინ პრინს ბოატენგი და სტეფან ელ შაარავი

იტალიელმა ჟურნალისტებმა მალევე დაადგინეს, რომ ის, კიდევ ერთი მოთამაშე **მბაიე ნიანგია**, რომელმაც გასულ სეზონში კარგი სახელი დაიგდო. მოკლედ, „მონაკომ“ „მილანს“ შეუტია, მაგრამ ადრიანო გალიანი ჯერჯერობით მაგრად დგას.

**ლაშა წიკლაური**

სავარაუდო ტრანსფერი

# ოგბონა იუვენტუსს უახლოვდება


ანჯელო ოგბონა ერთი ტურინული გუნდიდან მეორეში გადადის

დღე არ გავა, რომ „იუვენტუსთან“ დაკავშირებით სატრანსფერო სიახლე არ გავრცელდეს. „კორიერე დელო სპორტი“ გვამცნობს, რომ „ვეკია სენიორას“ მესვეურები **ანჯელო ოგბონას** გადაბირებასთან არიან ახლოს. მეტიც, ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, მხარეები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და 25 წლის მცველის „ტორინოდან“ „იუვეში“ გადაბარგება დროის ამბავია. „კორიერეს“ ცნობით, „ვეკია სენიორას“ მესვეურები „გრანატას“ ბიუჯეტში 15 მილიონ ევროს გადარიცხავენ და პლუს, ორ ფეხბურთელს მიაყოლებენ. მოთამაშეთა გვარები ჯერ ცნობილი არაა, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, „ტორინოში“ **ჩირო იმობილე** და **რეტო ციგლერი** გადავლენ. ჩიროც და რეტოც „იუვენტუსის“ საკუთრებაში არიან, თუმცა ბოლო სეზონი იჯარის წესით სხვა გუნდებში გაატარეს. ერთი სიტყვით, ანჯელო ოგბონას სახით, „იუვენტუსს“ კიდევ ერთი მაღალი კლასის მცველი ემატება.

დანიშვნა

# ოფიციალურად: გატუზო პალერმოს მწვრთნელია

**ჯენარო გატუზო** „პალერმოს“ ახალ მთავარ მწვრთნელად დაახლოებით სამი კვირის წინ წარადგინეს, მაგრამ ოფიციალურად, პოსტი გუშინ დაიკავა. დიახ, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რინო სიცილიური გუნდის მესაჭეა. ჯენარომ „პალერმოსთან“ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და თუ კლუბის პრეზიდენტმა სეზონის ბოლომდე მისი გათავისუფლება არ ისურვა, კონტრაქტი ავტომატურად კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება. **მაურიციო ძამპარინისთან** მთელი სეზონით გაჩერება რომ გმირობის ტოლფასია, გეცოდინებათ და გამომდინარე აქედან, რინო ურთულეს მისიას არის შეჭიდებული. 35 წლის გატუზომ პრესასთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ მისი მიზანი „პალერმოს“ ელიტაში აღზევებაა:

*„გულშემატკივრებმა თბილად მიმიღეს, რამაც ძალიან გამახარა. ჩვენი მიზანი ელიტაში დაბრუნებაა და მჯერა, რომ ამას შევძლებთ კიდეც. კლუბის მესვეურებმა ყველა პირობა შემიქმნეს წარმატების მისაღწევად და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. როგორ ფეხბურთს ითამაშებს გატუზოს ფორმაციის „პალერმო“? – ერთს შემიძლია დაგპირდეთ: თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე, თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ“.*

**ლაშა წიკლაური**


ჯენარო გატუზო

ამბები


გუსტავო მუნუა „ფიორენტინას“ კარს დაიცავს

## ვიოლამ მეკარე დაიმატა

„ფიორენტინა“ განაგრძობს თავისუფალი აგენტების დამატებას და ამ გზით გაძლიერებას. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ მომდევნო სეზონიდან ფლორენციული გუნდის ღირსებას ურუგვაელი მეკარე **გუსტავო მუნუა** დაიცავს. 35 წლის ვეტერანი ბოლოს „ლევანტეში“ ასპარეზობდა და ძირითადის მუდმივი წევრი გახლდათ... გასულ სეზონში გუსტავომ 29 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 47 გოლი გაუშვა. ცნობისთვის, მუნუას ურუგვაის ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ.

იტალიელ ჟურნალისტთა ცნობით, მუნუამ ფლორენციულ კლუბს ბედი 2015 წლამდე დაუკავშირა. ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ ურუგვაელმა ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი, რადგან ბოლო ორი სეზონია, ტოსკანელებს მეკარეებთან დაკავშირებით მუდმივი პრობლემები აქვთ. **ემილიანო ვივიანომ** დიდად ვერ გაამართლა და ხშირად მას ბრაზილიელი **ნეტო** ცვლიდა. ამ დროისთვის, ძირითად გოლკიპერად ვივიანო ითვლება, მაგრამ მისი პოზიციები არცთუ მყარია. ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს ვეტერანი ურუგვაელი კალჩოში.

**ლაშა წიკლაური**

## ლიონმა დანიკი გადაიბირა

ლიონის „ოლიმპიკმა“ **გაელ დანიკი** შეიძინა. „ვალანსიენის“ ყოფილმა ფეხბურთელმა საფრანგეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლიონს“ 31 წლის გარემარბის ტრანსფერი 800 ათასი ევრო დაუჯდა, თუმცა თანხა, სხვადასხვა ბონუსების გამო, შესაძლოა მილიონამდეც ავიდეს. აღსანიშნავია, რომ „ლიონის“ ახალწვეული ტრავმირებულია და თავის ახალ გუნდს კიდევ ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

გაელ დანიკი საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრებში 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. კარიერის განმავლობაში მას „რენის“, „გენგამის“, „გრენობლის“, „ტრუას“ და „ლორიანის“ რიგებში უთამაშია, „ვალანსიენში“ კი 2008 წლიდან ასპარეზობდა. 2012/13 წლების სეზონში დანიკმა 5 გოლი გაიტანა და 11 საგოლე გადაცემა შეასრულა.

## ტომასონი ექსელსიორის მწვრთნელია

„მილანის“, „ფეიენოორდის“ და დანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **იონ-დალ ტომასონი** როტერდამის „ექსელსიორის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 36 წლის სპეციალისტმა, რომელიც დამოუკიდებლად პირველად იმუშავებს, კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. დანიელმა საფეხბურთო კარიერა 2011 წელს დაასრულა და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „ექსელსიორის“ მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები


ჰენრიხ მხითარიანი

## შახტარი ჯერჯერობით უარზეა

რამდენიმე დღის წინ ინგლისური პრესა წერდა, რომ **ჰენრიხ მხითარიანის** „ლივერპულში" ტრანსფერი მხოლოდ დროის საკითხი იყო და რომ 24 წლის სომეხი ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმების გავლასლა ელოდა. ხმები არ დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ „შახტარის" ვარსკვლავი ერევანში იმყოფებოდა დასასვენებლად. მოლაპარაკებები ჯერჯერობით ისევ გრძელდება.

„ლივერპულმა" კონკრეტული თანხა შემოგვთავაზა, რომელიც თითქმის იმის ტოლია, რაც ფეხბურთელთან კონტრაქტით გვაქვს შეთანხმებული, მაგრამ ჩვენ მაინც უარი ვთქვით. ვნახოთ, რა მოხდება რამდენიმე დღეში. ფერნანდინიო უკვე წავიდა, ამას დამატებული ვილიანისა და მხითარიანის დაკარგვა მძიმე დარტყმა იქნება ჩვენთვის, თუმცა ეს მაინც თუ მოხდა, ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ მათ ღირსეულად შესაცვლელად," - განაცხადა sportnews.am-თან ინტერვიუში „შახტარის" მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ.** აქვე გეტყვით, რომ Goal.com 26 მილიონ ევროდ ტრანსფერის განხორციელების შანსს 60%-ით აფასებს.

## ალკანტარა გრანდების სამიზნეში

„ლელო" გუშინ წერდა, რომ **ტიტო ვილანოვასთან** კონფლიქტის გამო „ბარსელონას" 21 წლის ნახევარმცველმა **ტიაგო ალკანტარამ** ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. მსგავსი ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მით უფრო 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ტიაგოს თამაშის გათვალისწინებით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მას მთხოვნელთა რიგი დაუდგა. „ელ მუნდო დეპორტივო" ოთხ კლუბს ასახელებს: „რეალს", „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსისა" და „ბაიერნს". საკომპენსაციო თანხა 22 მილიონ ევროს შეადგენს. რაკი ალკანტარა კატალონიური გრანდის აღზრდილია, წესით, ამან „რეალის" შანსები მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. ინგლისურ გრანდებს საკუთარი პლუსები აქვთ, რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს, „ბაიერნს" ჰყავს **ხოსეპ გვარდიოლა,** მწვრთნელი, ვინც ალკანტარას დიდ ფეხბურთში გზა გაუკაფა. ცხადია, არც ერთი ზემოთ ხსენებული კლუბი ფეხბურთელს ძირითადში გარანტირებულ ადგილს არ შესთავაზებს. ტიაგოს სერიოზულად მართებს დაფიქრება.

## რიჩარდსი სიტიში რჩება

„ტელეგრაფის" ცნობით, „მანჩესტერ სიტის" 24 წლის უნივერსალი მცველი **მიკა რიჩარდსი** „ეტიჰადზე" რჩება. ფეხბურთელმა „ქალაქელებთან" ხელშეკრულება 2017 წლის ივლისამდე გააფორმა. ინიციატივა სპორტულ დირექტორ **ჩიკი ბეგირისტაინს** ეკუთვნოდა, ვისაც **მანუელ პელეგრინიც** დაეთანხმა. შეგახსენებთ, რომ იმავე ბეგირისტაინის მეცადინეობით კლუბმა ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე გაუხანგრძლივა ხელშეკრულებები სერხიო აგუეროს, **იაია ტურესა** და **გაელ კლიშის** - თითოეულს სწორედ 2017-მდე. „ეტიჰადზე" დარჩენაზე თანხმობას აცხადებს ასევე **პაბლო საბალეტაც**. მოლაპარაკებები ამ თემაზე მალე დაიწყება.

რიჩარდსმა 2012/13 წლების სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა. სულ მან პრემიერლიგის 8 შეხვედრაში მოასწრო თამაში.


რიჩარდსი

მწვრთნელი

# ესპანელის მეორე სამშობლო

## გავიცნოთ ევერტონის ახალი თავკაცი

**რობერტო მარტინესი** ჯერ კიდევ 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ აღიარეს პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მწვრთნელად.

ის, რაც მან 2012 წლის აპრილში „უიგანთან" ერთად მოახერხა, აუტსაიდერი გუნდის მწვრთნელი ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გაიმეორებს. ლამის გასავარდნად განწირულმა „ათლეტებმა" ჩემპიონატის უკანასკნელ 6 ტურში ჩემპიონობისა თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „ნიუკასლი" და უშუალო კონკურენტები „ბლექბერნი" და „ვულვერჰემპტონი" დაამარცხეს. ესპანელმა ძალიან მალე მიიღო შეთავაზებები წამყვანი კლუბებისგან, მაგრამ უარი თქვა და DW Stadium-ზე კიდევ ერთი წლით დარჩა. უკანასკნელ სეზონში კი მან სასწაული ველარ გაიმეორა. „უიგანი" გავარდა. პრეზიდენტ **გლენ უილანს** მწვრთნელის ერთგულების იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა მან წასვლა გადაწყვიტა, ხელი არ შეუშლია. მარტინესი „ევერტონში" ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს.

ახდინა პრემიერლიგაში. ამის დასტურია სახელოვანი **ჰარი რედნაპის** განცხადებაც. ვეტერანმა სპეციალისტმა ინგლისის ასაკობრივი ნაკრებების მთელი რიგი წარუმატებელი ასპარეზობების შემდეგ მისაბაძ მაგალითად „სუონისა" და „უიგანის" თამაში მოიყვანა. ასე რომ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „გედების" წარმატებაში ესპანელს არანაკლები ღვაწლი მიუძღვის, ვიდრე მის მემკვიდრეებს **ბრენდან როჯერსსა** და **მიკაელ ლაუდრუპს.**

ჩვენს გმირს 2009 წლის ზაფხულზე ძველმა მეგობარმა დეივ უილანმა „უიგანში" უხმო. მარტინესს ინგლისური ფეხბურთის ელიტაში წარმატების მისაღწევად საფუძველი პრაქტიკულად არ გააჩნდა. მას არ ჰქონდა სოლიდური ბიუჯეტი და, შესაბამისად, ლაპარაკი ვარსკვლავურ შემადგენლობაზე ზედმეტი იყო. თუმცა მან თავად გამოზარდა ფეხბურთელები, რომელთა ტრანსფერებზეც „უიგანს" რიგი დაუდგა. 2013 წლის 11 მაისს გადავსებულ „უემბლიზე" აუტსაიდერთა მიერ ასოციაციის თასის მოგება ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივარს კიდევ ძალიან დიდხანს ეხ-



რობერტო მარტინესი 1973 წლის 13 ივლისს პატარა ესპანურ ქალაქ ბალაგერში დაიბადა. საფეხბურთო კარიერის საწყისი ეტაპი მან სამშობლოში გაატარა და ბედმა გაუღიმა, როცა 1993-94 წლების სეზონი ესპანეთის სამეფო თასის მომგებ „სარაგოსაში" გაატარა, თუმცა კი ტიტულის მოპოვებაში დიდი წვლილი არ შეუტანია. მომდევნო ერთი წელიწადი მან მშობლიური ქალაქის გუნდში გაატარა, 1995 წელს კი ბრიტანეთს მიაშურა. მას შემდეგ ის ამ ქვეყანაში ცხოვრობს და მას თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. მარტინესმა „უიგანში" 6 წელიწადი გაატარა და პრეზიდენტ **გლენ უილანთან** მეგობრული დამოკიდებულება ჩამოუყალობდა. DW Stadium-ზე მასთან ერთად კიდევ ორი ესპანელი თამაშობდა - **ისიდორე დიასი** და **ხესუს სება,** თუმცა მხოლოდ მან მოახერხა „ათლეტების" ისტორიაში წარუშლელი კვალი დაეტოვებინა. 2001 წელს რობერტომ თავგადასავლებისთვის ჯერ შოტლანდიის ჩემპიონატს მიაშურა, შემდეგ ისევ ინგლისს დაუბრუნდა და ქვედალიგელ გუნდებში გამოსცადა საკუთარი თავი.

მარტინესის სამწვრთნელო კარიერა 2007 წლის ზაფხულზე „სუონსიში" დაიწყო, კლუბში, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ თავისი სათამაშო სტილით ლამის გადატრიალება მოსომება. ჩემპიონშიპში გავარდნის შემდეგ მან არჩევანი „ევერტონზე" გააკეთა, გუნდზე, სადაც ერთგულებას განსაკუთრებით აფასებენ, რადგან ასეთი იყო **დევიდ მოიესი.**

დიახ, მარტინესი „გუდისონ პარკზე" ახალ ცხოვრებას იწყებს. მას შოტლანდიელის შეცვლა მოუწევს. ესპანელს არც ახალ კლუბში ჰპირდებიან დიდ სატრანსფერო ბიუჯეტს, მაგრამ მას მაინც ბევრად უფრო მეტი წინაპირობა აქვს წარმატებისთვის. მარტინესთან გაფორმებული 4-წლიანი კონტრაქტი ბევრს ნიშნავს. მერსისაიდელები მას ენდობიან. ფეხბურთელებს ის საკუთარი ინტუიციით ყიდულობს და, როგორც წესი, დაბალ ფასად. რამდენი მოთამაშის გახსენება შეიძლება, რომელთაც მწვრთნელის ნდობა გაამართლეს, თავად განსაჯეთ. „გუდისონ პარკზეც" ყველაფერი ალბათ ამავე სცენარით წარიმართება.



### დოსიე

**საფეხბურთო კარიერა**

**სარაგოსა** - 1993-94, **ბალაგერი** - 1994-95, **უიგანი** - 1995-2001, **მოზერველი** - 2001-02, **უოლსოლი** - 2002-03, **სუონსი** - 2003-06, **ჩესტერ სიტი** - 2006-07

**მიღწევები**

1993-94 - ესპანეთის თასი

**სამწვრთნელო კარიერა**

**სუონსი** - 2007-09, **უიგანი** - 2009-13, **ევერტონი** - 2013-

**მიღწევები**

2007-08 - ლიგა ერთის გამარჯვებული; 2012-13 - ასოციაციის თასი; 2007-08 - ლიგა ერთის საუკეთესო მწვრთნელი; 2012 წლის აპრილი - პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელი.

ამბები


მარსალ ოლივეირა

## ევერტონის ბრაზილიელი სამიზნე

პორტუგალიური „ნასიონალის" 24 წლის მარცხენა მცველმა **მარსალ ოლივეირამ** კარიერა შესაძლოა „ევერტონში" გააგრძელოს. ის საკმაოდ იაფად, 2,5 მილიონ ევროდ არის შეფასებული. **რობერტო მარტინესი** მას **ლეიტონ ბეინსის** დუბლიორად განიხილავს. სამხრეთამერიკელის სამსახურით დაინტერესებული არიან ასევე ლისაბონის „სპორტინგი" და მოსკოვის „დინამო". მარსალი საკმაოდ ხისტ ფეხბურთელად ითვლება. 2012/13 წლების პრიმერალიგაში მან 27 შეხვედრაში 8 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაიმსახურა.

## მზადება გვარდიოლას დასახვედრად

26 ივნისს მიუნხენში „ბაიერნის" ახალ თავკაცს, 42 წლის **პეპ გვარდიოლას** „ალიანს არენაზე" გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში აქვს დაგეგმილი. ამ ეტაპზე მის განკარგულებაში არ იქნება შარშანდელი შემადგენლობის წევრთა დიდი უმრავლესობა. მით უმეტეს, რომ ორი მათგანი შვებულებაში ჯერაც არ გასულა. ლაპარაკია კონფედერაციის თასზე მოასპარეზე **დანტესა და ლუის გუსტავოზე.** კატალონიელის დებიუტის საყურებლად სტადიონზე მოსახვედრად გულშემატკივარს ბილეთის შეძენა მოუწევს, რომელიც სულ რაღაც 5 ევრო ეღირება და ის 24-25 ივნისს გაიყიდება. თუმცა არენაზე სულ 25 ათასი ადამიანი შევა.

## სანტა გერმანიაში ბრუნდება

1998 წელს „ბაიერნმა" ასუნსიონის „ოლიმპიადან" **როკე სანტა კრუსი** გადაიბირა და მასთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. გერმანული პრესა და არამხოლოდ ის, თინეიჯერი პარაგვაელისგან ბევრს ელოდა. ერთი მხრივ ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ და მეორე მხრივ მოურჩენელმა ტრავმებმა ფეხბურთელის პოტენციალი სერიოზულად დააკნინა. 2007 წელს მან მიუნხენი დატოვა და სათამაშოდ „ბლექბერნს" მიაშურა, სადაც საკმაოდ კარგად ათამაშდა. „მანჩესტერ სიტიში" გადასვლის შემდეგ პარაგვაელი სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. პრაქტიკას კი ის ხან სად ეძებდა ხან სად. და აი, როგორც იქნა 31 წლის თავდამსხმელი თავისუფალი აგენტი გახდა და საკუთარ ბედს თავად წყვეტს. სანტა კრუსმა „ჰამბურგთან" პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. „იმტეხ არენაზე" მას „ბაიერნში" ყოფილი თანაგუნდელი **ტორსტენ ფინკი** გაწვრთნის. მხარეთა შორის კონტრაქტზე ხელის მოწერა ჯანმრთელობის ტესტის ჩაბარების შემდეგ იგეგმება. სანტა კრუსის აგენტის შემდეგ ინფორმაცია „დინოზავრების" სპორტულმა დირექტორმა, კიდევ ერთმა ყოფილმა ბაიერნელმა **ოლივერ კროიცერმაც** დაადასტურა.

## ბენტი რვა მილიონად

„დეილი მეილის" მტკიცებით, „ასტონ ვილა" მზად არის, 2011 წელს 24 მილიონ ფუნტად შეძენილი **დარენ ბენტი** 8 მილიონად გაასხვისოს. 29 წლის თავდამსხმელმა შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი ლაზარეთში გაატარა ან სათადარიგოთა სკამზე. **პოლ ლამბერტის** გუნდს ის სულ რაღაც 3 გოლითა და 1 პასით შეეწია. ბენტის გადაბირებით დაინტერესებულთა შორის პრესა „ნიუკასლს", „ფულჰემსა" და „ჰალ სიტის" ასახელებს. მსურველთათვის ერთადერთი პრობლემა ბენტის ანაზღაურებაა. დარენი წელიწადში 3 მილიონს ითხოვს. „ვილას" **ნიკლას ჰელენიუსის** გადაბირების შემდეგ მისი სამსახური უბრალოდ აღარ სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კონფედერაციის თასი. ბრაზილია 2013.

# ფინალის ტოლფასი მატჩი

**20 ივნისი**

**B ჯგუფი**

| ესპანეთი-ტაიტი | 23:00 |
|---|---|

ურთიერთშეხვედრები

**არ უთამაშიათ**

| ნიგერია-ურუგვაი | 02:00 |
|---|---|

ურთიერთშეხვედრები

**არ უთამაშიათ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგერია | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 2. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. ტაიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |

## სარეკორდო მატჩი

ესპანეთი-ტაიტი. ამ ორი გუნდის დასახელებით ყველაფერი ნათქვამია. მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონი, ბოლო ორი ევროს გამარჯვებული და ამ ტურნირის ერთ-ერთი (თუ არა მთავარი) ფავორიტი, ხვდება გუნდს, ვინც ნიგერიასთან 1:6 წააგო და იმ ერთი გოლის გამო ისეთი ბედნიერი იყო, თითქოს მუნდიალზე ემარჯვოს.

ეს შეხვედრა მაინც ძალიან საინტერესოა, რადგან ეჭვი გვაქვს, ფიფას ეგიდით ჩატარებული ტურნირების ფინალურ ეტაპზე ასეთი ძლიერი ნაკრები ასეთ სუსტს ოდესმე შეხვედროდეს. ამ მატჩში შეიძლება რამდენიმე რეკორდი დამყარდეს. ქვემოთ ჩამოვთვლით იმ რეკორდებს, რომელიც შესაძლოა დღეს გაუმჯობესდეს:

- ბურთის ფლობის რეკორდი (80-20)
- ესპანეთის ნაკრების ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვება (ბულგარეთთან 13:0, 1933 წელს, ამხანაგური)
- კონფედერაციის თასზე დაფიქსირებული ყველაზე დიდი სხვაობა (6 - ბრაზილია-ავსტრალია 6:0, ბრაზილია-საუდის არაბეთი 8:2)
- ფიფას ეგიდით გამართული ტურნირების ფინალურ ეტაპზე დაფიქსირებული ყველაზე დიდი სხვაობა (9 - უნგრეთი-ს. კორეა 9:0, 1954 წელს; იუგოსლავია-ზაირი 9:0, 1974 წელს; უნგრეთი-სალვადორი 10:1, 1982 წელს).
- ესპანეთის რიგებში ერთ შეხვედრაში გატანილი ყველაზე მეტი გოლი (ისიდრო ლანგარა - 5, პორტუგალიასთან, 1934 წელს) და ა.შ.

აქვე გეტყვით, რომ ესპანეთს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყველაზე დიდი ანგარიშით ბულგარეთის ნაკრები (1998 წელს) ჰყავს დამარცხებული - 6:1. კონფედერაციის თასზე კი ახალი ზელანდია - 5:0 (2009 წელს).



## მატჩი მეორე ადგილისთვის

კენჭისყრის დღიდან ცნობილი იყო, რომ ამ ჯგუფში მეორე ადგილისთვის ნიგერია და ურუგვაი იბრძოლებდნენ. მათი ურთიერთშეხვედრა (სხვათა შორის, ისტორიაში პირველი) ფინალის ტოლფასია, რადგან დამარცხების შემთხვევაში ურუგვაი ჯგუფიდან გასვლის ყველანაირ შანსს დაკარგავს.

**ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მისმა გუნდმა 90 წუთის განმავლობაში ითამაშოს ისეთივე ფეხბურთი, როგორც ესპანეთთან მატჩის ბოლო 20 წუთში. თავად "სელესტეს" დამრიგებელმა განაცხადა, რომ შემადგენლობაში ცვლილებებს აპირებს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა ძირითადში **დიეგო ფორლანი** გამოჩნდეს.

ცვლილებების განხორციელებას, ოღონდ მხოლოდ დაცვის ხაზში, აპირებს **სტივენ კეშიც**. ნიგერიელთა დამრიგებელი **კავანი-სუარესის** მრისხანე დუეტს უფრთხის და მან ძალიან კარგად იცის, რომ მის გუნდს ტაიტისთან მატჩის მსგავსი იოლი შეხვედრა არ ელის. სხვათა შორის, ნიგერიას უკვე 18 თამაშია, არ წაუგია, რაც ამ ქვეყნის რეკორდია. ბოლოს აფრიკელები 2012 წელს, პერუსთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხდნენ (0:1). ზოგადად, სამხრეთ ამერიკელ მეტოქეებთან ნიგერიას საკმაოდ ცუდი ბალანსი აქვს: 3 მოგება, 4 ფრე და 10 მარცხი.

## კომენტარები

*"აქ ყველა მოსაგებად ჩამოვიდა. ურუგვაი ჩვენს დამარცხებას გეგმავს. ჩვენ უნდა მოვუმატოთ და ბოლომდე კონცენტრირებულნი ვიყოთ,"* - განაცხადა სტივენ კეშიმ.

*"ვიცით, რომ ნიგერიასთან გადამწყვეტი მატჩი გველის და რომ ფრე მათთვის უფრო მისაღები შედეგია, ვიდრე ჩვენთვის. ამ მატჩს ფრედ თუ დავასრულებთ, ბოლო ტურის წინ ყველაფერი ჩვენს ხელში აღარ იქნება, ეს კი არ უნდა დავუშვათ,"* - ეს უკვე **დიეგო ფორლანის** სიტყვებია.

## დღის სტატისტიკა

- ბრაზილია და მექსიკა კონფედერაციის თასზე ერთმანეთს უკვე მეოთხედ შეხვდნენ. ბრაზილია-აშშ-სთან ერთად, ყველაზე ხშირად ამ ტურნირზე სწორედ ამ გუნდების დაპირისპირება შემდგარა.
- მეორე ტურის მატჩი ბრაზილიისთვის 30-ე იყო ამ ტურნირზე, რაც რეკორდია.
- მეორე ადგილზე მექსიკაა 21 მატჩით.
- ტურნირზე მონაწილე რვა გუნდიდან, კონფედერაციის თასი მხოლოდ ამ ორს აქვს მოგებული.
- **ნამდი ოდუამადი** გახდა პირველი აფრიკელი ფეხბურთელი, ვინც კონფედერაციის თასზე ჰეთთრიქი შეასრულა.
- ნიგერია კონფედერაციის თასზე დაუმარცხებელია (2 მოგება და 1 ფრე)
- **ჯონათან ტეჰაუ** გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ფიფას ეგიდით ჩატარებული ტურნირის მატჩში ორივე გუნდის კარში გაიტანა და წააგო. აქამდე, სულ ასეთი შემთხვევა (გოლი + ავტოგოლი) 6-ჯერ დაფიქსირდა და ყველა შემთხვევაში გმირ-ანტიგმირი ფეხბურთელის გუნდი იგებდა.
- ტაიტის და ნიგერიას შეხვედრაში შვიდი გოლი გავიდა (1:6), რაც კონფედერაციის თასზე აქამდე არ მომხდარა. ამაზე მეტი ბურთი გულშემატკივარმა მხოლოდ ბრაზილია-საუდის არაბეთის მატჩში იხილა, რომელიც 8:2 დასრულდა.




● კონფედერაციის თასი. ბრაზილია 2013. II ტური

# ნეიმარმა მექსიკა დაჩოქა

**A ჯგუფი**

| ბრაზილია-მექსიკა | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ნეიმარი (9), 2:0 ჟო (90+3)

**ბრაზილია** (4-2-3-1): ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო - პაულინიო, ლუის გუსტავო - ჰალკი (78. ლუკას მოურა), ოსკარი (62. ერნანესი), ნეიმარი - ფრედი (82. ჟო)

**მექსიკა** (4-4-1-1): კორონა - მიერი, ფ. როდრიგესი, ე. მორენო, ხ. ტორესი (70. ბარერა) - ხ. ფლორესი (58. ე. ერერა), ტორადო (88. რ. ხიმენესი), სალსიდო, გუარდადო - ჯოვანი დოს სანტოსი - ხ. ერნანდესი

**გაფრთხილება:** ტიაგო სილვა, დანი ალვეში - გუარდადო, ე. ერერა, ფ. როდრიგესი.

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 12-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 50 791

**იტალია-იაპონია** გვიან დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. მექსიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 4. იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**ბოლო ტური (22 ივნისი, 23:00):** იაპონია-მექსიკა, იტალია-ბრაზილია



ნეიმარმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა

ბრაზილიის ნაკრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვა და 1/2 ფინალში გასვლა გაინაღდა. შეხვედრა თავიდანვე „სელესაოს" შეტევებით დაიწყო, რასაც შედეგი მე-9 წუთზე მოჰყვა - **ჰალკის** ჩაწოდების შემდეგ, მექსიკელმა მცველებმა არადამაჯერებლად ითამაშეს, ბურთი კი **ნეიმართან** მივიდა, რომელმაც ბურთს მიწაზე დაუშვებლად დაჰკრა და **ხოსე კორონას** შანსი არ დაუტოვა. პირველი შეხვედრის მსგავსად, „ბარსელონას" ახალწვეულის გოლი ამჯერადაც ლამაზი იყო.

მექსიკას ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია - **ჯოვანი დოს სანტოსმა** და კომპანიამ რამდენიმე მომენტი შექმნეს და ბრაზილიელი ქომაგიც ანერვიულეს, თუმცა გოლის გატანა **ხოსე მანუელ დე ლა ტორეს** შეგირდებმა ვერ შეძლეს. მატჩის მეორე ნახევარში „სელესაომ" ორი გოლი გაიტანა. პირველი **ტიაგო სილვას** ანგარიშზე იყო, თუმცა ეს ბურთი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა. აი, მეორე გოლი კი წესების დაცვით გავიდა - 93-ე წუთზე, ნეიმარმა ფლანგზე დრიბლინგი წამოიწყო და ცვლილებაზე შემოსულ **ჟოს** საგოლე პასი გაუკეთა. „ატლეტიკო მინეიროს" ფორვარდს, რომელიც კონფედერაციის თასზე **ლეანდრო დამიაოს** ტრავმის გამო მოხვდა, შესაშური სტატისტიკა აქვს: 2 მატჩი - 2 გოლი, მეტიც, ჟომ მინდორზე მხოლოდ 17 წუთი გაატარა.

ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციის თასზე ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირზე ბოლო მარცხი „სელესაომ" სწორედ მექსიკასთან, 2005 წელს განიცადა. ამის გარდა, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებმა „აცტეკებთან" შარშან, ლონდონის ოლიმპიადის ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**

**ნეიმარი (ბრაზილია)**

იაპონიასთან გამართული მატჩის მსგავსად, ბრაზილიის ნაკრების მეორე შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად კვლავ ნეიმარი დასახელდა. „სანტოსის" ყოფილმა ლიდერმა საკმაოდ ლამაზი გოლით ანგარიში გახსნა, ბოლო წამებზე კი ლამაზი დრიბლინგი შემოგვთავაზა, რასაც საგოლე გადაცემაც მოაყოლა. გარდა ამისა, ბრაზილიელთა მე-10 ნომერმა არაერთი ლამაზი ეპიზოდი გვაჩუქა.

● ტორნეო ფინალი

# ნიუელსი არგენტინის ჩემპიონია

„ნიუელს ოლდ ბოისი" ტორნეო ფინალის გამარჯვებული ისე გახდა, რომ თავად არ უთამაშია. გუშინ, „ესტუდიანტესის" და „ლანუსის" შეწყვეტილი მატჩი დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა პირველი ტაიმის შემდეგ, „ლანუსის" ქომაგის დალუპვის გამო შეწყდა. იმ დროისთვის, „სტუდენტები" 2:0-ს იგებდნენ და იმისთვის, რომ ჩემპიონატს ინტრიგა შერჩენოდა, „ლანუსს" დარჩენილ 45 წუთში 3 გოლი უნდა გაეტანა. საბოლოოდ, **გილერმო ბაროს შელოტოს** შეგირდებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს და მატჩი 2:0 დასრულდა.

„ნიუელსი" არგენტინის ჩემპიონი ისტორიაში მეექვსედ და 2004 წლის აპერტურას შემდეგ პირველად გახდა.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძე

● თურქეთი 2013 ციფრებში



ყველაზე ახალგაზრდული გუნდები აფრიკულ ქვეყნებს ეყოლებათ

# ბრაზილიის და არგენტინის გარეშე

## ახალგაზრდული მუნდიალის დაწყებამდე

**ორ დღეში თურქეთში 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება, რომელიც მიუხედავად პარალელურად მიმდინარე კონფედერაციის თასისა, თავის წილ ყურადღებას დაიმსახურებს. ტურნირის დაწყებამდე, ერთად გადავხედოთ რამდენიმე მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას...**

**83** - სხვადასხვა ნაკრებს აქვს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ნათამაშები. 1977 წლიდან მოყოლებული, 18 გათამაშებაში 80-მა გუნდმა ითამაშა, წლევანდელ მუნდიალზე კი დებიუტი კუბას, სალვადორს და საბერძნეთს ექნებათ.

მონაწილეთაგან მხოლოდ სამს, პორტუგალიას (1989, 1991), განას (2009) და ესპანეთს (1999) აქვთ 20-წლამდელთა ჩემპიონატი მოგებული. ასევე, თურქეთი 2013 იქნება ზედიზედ მესამე მუნდიალი, სადაც წინა ტურნირის გამარჯვებული არ ითამაშებს - 2011 წლის ტრიუმფატორი ბრაზილია ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა. „სელესაოს" გარდა, ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა არგენტინაც, რაც ნიშნავს იმას, რომ 18 ტურნირიდან 11-ის მომგები გუნდები (არგენტინა - 6-გზის ჩემპიონია, ბრაზილია 5-გზის) ამ მუნდიალს დააკლდებიან.

**40** - თურქეთში 40 ფეხბურთელს ექნება შანსი, რომ ფიფას მიერ ორგანიზებული ტურნირის ფინალურ ეტაპზე მინიმუმ მეორედ ითამაშოს, აქედან 14 მოთამაშე მეორედ უშუალოდ 20-წლამდელთა მუნდიალზე იასპარეზებს. ახალი ზელანდიის და ნიგერიის რიგებში სამი ისეთი ფეხბურთელია, ვინც 2011 წელს კოლუმბიაში გამართულ ტურნირზე მონაწილეობდა. ნიგერიელთა სამივე ფეხბურთელმა წინა ტურნირზე გოლები გაიტანა, **ედაფე ეგბედიმ** და **ოლარენვაჯუ კაიოდემ** სამ-სამი გოლი შეაგდეს.

ახალი ზელანდიის ნაკრებს სულ 7 ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, ვინც ფიფას ტურნირზე მინიმუმ მეორედ ითამაშებს. ასეთივე შედეგი აქვთ მექსიკას და ურუგვაის. ზელანდიელები **ტიმ პეინი** და **კამერონ ჰოუვისონი** 2012 წლის ოლიმპიადის მონაწილეები არიან.

**226** - მალის ნაკრების საშუალო ასაკია თვეების მიხედვით. 18 წელი და ათი თვე - სწორედ ასეთია აფრიკელთა საშუალო ასაკი და ამ მაჩვენებლით ეს გუნდი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ნაკრებია. საერთოდ, ტურნირის სამი ყველაზე ახალგაზრდა ნაკრები დასავლეთ აფრიკას წარმოადგენს - მალის შემდე, მეორე-მესამე ადგილებზე ნიგერია (19 წელი) და განა (19 წელი და 2 თვე) იმყოფებიან.

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი კი ავსტრალიის ნაკრებში ირიცხება - **დანიელ დე სილვა** 16 წლის მარტში გახდა. თურქეთში გამგზავრებული 503 ფეხბურთელიდან, 16 წლის კიდევ ოთხი მოთამაშეა და ეს სია 1 ივლისს შემცირდება, რადგან ერაყელი **ბურჰან ჯუმააჰი** ამ დღეს 17 წლის ხდება.

**15** - მოქმედი ჩემპიონის, ბრაზილიის გამოკლების შემდეგ, ტურნირის ყველაზე გამოცდილი გუნდები ესპანეთი და ავსტრალია არიან - ეს გუნდები ახალგაზრდულ მუნდიალზე მეთხუთმეტედ ითამაშებენ. ასევე, ესპანეთი, სამხრეთ კორეასთან ერთად, ლიდერობს ზედიზედ მონაწილეობის მხრივ - ეს ტურნირი მათთვის მე-6 იქნება. ბრაზილიას კი მართლაც საოცარი სერია შეუწყდა - „სელესაო" ზედიზედ 16 მუნდიალზე მონაწილეობდა.

არგენტინის და მოქმედი ჩემპიონის ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრის შემდეგ, ესპანეთს ყველაზე შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს. პირენეელებმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს - 144 (საშუალოდ 2,1) და კარის მშრალად შენახვა ყველაზე მეტჯერ (23) შეძლეს. ასევე, ესპანეთი ზედიზედ ხუთი ტურნირია აუცილებლად გადის მეორე ეტაპზე.

**ტატო ბაციკაძე**

● მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი. VI ტური

# აშშ-ს დიდი ნაბიჯი ბრაზილიისკენ

**აშშ-ჰონდურასი 1:0**

გოლი: 1:0 ალტიდორი (73)

**კოსტა რიკა-პანამა 2:0**

გოლები: 1:0 ბ. რუისი (49), 2:0 ბორხესი (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| 2. კოსტა რიკა | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| 3. მექსიკა | 6 | 1 | 5 | 0 | 3-2 | 8 |
| 4. ჰონდურასი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 5. პანამა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 6. იამაიკა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-8 | 2 |

კონკაკაფის ზონაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მე-6 ტურის ორი მატჩი გაიმართა. მექსიკამ და იამაიკამ თავიანთი მატჩი ოდნავ ადრე ჩაატარეს და სწორედ იმ შეხვედრაში მოიპოვა მექსიკამ ერთადერთი გამარჯვება (1:0).

გუშინ კი ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა - ფავორიტად მიჩნეულმა მასპინძლებმა 3-3 ქულა აიღეს და ლიდერობა განიმტკიცეს. აშშ-მ ჰონდურასს **ჯოზი ალტიდორის** ერთადერთი გოლის წყალობით სძლია და მეტოქეს 6 ქულით გაასწრო. ამ მოგებით **იურგენ კლინსმანის** შეგირდებმა მუნდიალისკენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგეს.

კოსტა რიკამ კი პანამას უმასპინძლა და მეორე ტაიმის დებიუტში გატანილი ორი ბურთით იმარჯვა. ანგარიში 49-ე წუთზე **ბრაიან რუისმა** გახსნა, 4 წუთში კი მეორე გოლი, რუისის პასით, **სელსო ბორხესმა** გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**



ჯოზი ალტიდორმა ამერიკა მუნდიალის საგზურს მიუახლოვა

● ამბები

## კორეელთა მწვრთნელის უცნაური წასვლა

18 ივნისს სამხრეთ კორეის ნაკრებმა მუნდიალის საგზური მოიპოვა, მაგრამ მიუხედავად ამხელა წარმატებისა, გუნდის დატოვება მწვრთნელ **ჩოი კანგ ჰის** მოუწია.

მწვრთნელის გადადგომის მიზეზი ბოლო ტურში ირანთან მარცხი და ნაკრების არდამაჯერებელი თამაშია მთელი ტურნირის განმავლობაში.

კორეელთა ახალი თავკაცი 44 წლის **ჰონ მიუნ ბო** იქნება, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, რომელიც ბოლოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო.

## ენდი კეროლი ვესტ ჰემმა წარადგინა



ენდი კეროლი

როგორც იქნა, ინგლისში ერთი სატრანსფერო საგა დასრულდა - **ენდი კეროლი** საბოლოოდ გადავიდა „ლივერპულიდან" „ვესტ ჰემში", ლონდონურმა კლუბმა ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა.

24 წლის ფორვარდს „ვესტ ჰემში" 100 ათასი ფუნტი დაუნიშნეს კვირაში ხელფასის სახით. მან 6-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც კიდევ ორი წლით შეიძლება გაიზარდოს და წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება.

„ჩაქუჩებმა" კეროლი 15,5 მილიონ ფუნტად შეიძინეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი 2013-14. პრემიერლიგის კალენდარი

**I ტური. 17 აგვისტო**

არსენალი-ასტონ ვილა
ჩელსი-ჰალი
კრ. პალასი-ტოტენჰემი
ლივერპული-სტოკი
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი
ნორვიჩი-ევერტონი
სანდერლენდი-ფულჰემი
სუონსი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი-კარდიფი

**II ტური. 24 აგვისტო**

ასტონ ვილა-ლივერპული
კარდიფი-მანჩესტერ სიტი
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი-არსენალი
ჰალი-ნორვიჩი
მანჩესტერ იუნ-ჩელსი
ნიუკასლი-ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი-სანდერლენდი
სტოკი-კრ. პალასი
ტოტენჰემი-სუონსი

**III ტური. 31 აგვისტო**

არსენალი-ტოტენჰემი
კარდიფი-ევერტონი
ჩელსი-ასტონ ვილა
კრ. პალასი-სანდერლენდი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ჰალი
ნიუკასლი-ფულჰემი
ნორვიჩი-საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი-სუონსი
ვესტ ჰემი-სტოკი

**IV ტური. 14 სექტემბერი**

ასტონ ვილა-ნიუკასლი
ევერტონი-ჩელსი
ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი
ჰალი-კარდიფი
მანჩესტერ იუნ-კრ. პალასი
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი
სტოკი-მანჩესტერ სიტი
სანდერლენდი-არსენალი
სუონსი-ლივერპული
ტოტენჰემი-ნორვიჩი

**V ტური. 21 სექტემბერი**

არსენალი-სტოკი
კარდიფი-ტოტენჰემი
ჩელსი-ფულჰემი
კრ. პალასი-სუონსი
ლივერპული-საუთჰემპტონი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ
ნიუკასლი-ჰალი
ნორვიჩი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ევერტონი

**VI ტური. 28 სექტემბერი**

ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი
ევერტონი-ნიუკასლი
ფულჰემი-კარდიფი
ჰალი-ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი-კრ. პალასი
სტოკი-ნორვიჩი
სანდერლენდი-ლივერპული
სუონსი-არსენალი
ტოტენჰემი-ჩელსი

**VII ტური. 5 ოქტომბერი**

კარდიფი-ნიუკასლი
ფულჰემი-სტოკი
ჰალი-ასტონ ვილა
ლივერპული-კრ. პალასი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
ნორვიჩი-ჩელსი
საუთჰემპტონი-სუონსი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი

**VIII ტური. 19 ოქტომბერი**

არსენალი-ნორვიჩი
ასტონ ვილა-ტოტენჰემი
ჩელსი-კარდიფი
კრ. პალასი-ფულჰემი
ევერტონი-ჰალი
მანჩესტერ იუნ-საუთჰემპტონი
ნიუკასლი-ლივერპული
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი
სუონსი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი

**IX ტური. 26 ოქტომბერი**

ასტონ ვილა-ევერტონი
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
კრ. პალასი-არსენალი
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ იუნ-სტოკი
ნორვიჩი-კარდიფი
საუთჰემპტონი-ფულჰემი
სანდერლენდი-ნიუკასლი
სუონსი-ვესტ ჰემი
ტოტენჰემი-ჰალი

**X ტური. 2 ნოემბერი**

არსენალი-ლივერპული
კარდიფი-სუონსი
ევერტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ
ჰალი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი
ნიუკასლი-ჩელსი
სტოკი-საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა

**XI ტური. 9 ნოემბერი**

ასტონ ვილა-კარდიფი
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი
კრ. პალასი-ევერტონი
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ იუნ-არსენალი
ნორვიჩი-ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი-ჰალი
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი
სუონსი-სტოკი
ტოტენჰემი-ნიუკასლი

**XII ტური. 23 ნოემბერი**

არსენალი-საუთჰემპტონი
კარდიფი-მანჩესტერ იუნ
ევერტონი-ლივერპული
ფულჰემი-სუონსი
ჰალი-კრ. პალასი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
ნიუკასლი-ნორვიჩი
სტოკი-სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა
ვესტ ჰემი-ჩელსი

**XIII ტური. 30 ნოემბერი**

ასტონ ვილა-სანდერლენდი
კარდიფი-არსენალი
ჩელსი-საუთჰემპტონი
ევერტონი-სტოკი
ჰალი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-სუონსი
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი
ნორვიჩი-კრ. პალასი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ჰემი-ფულჰემი

**XIV ტური. 3 დეკემბერი**

არსენალი-ჰალი
კრ. პალასი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ნორვიჩი
მანჩესტერ იუნ-ევერტონი
საუთჰემპტონი-ასტონ ვილა
სტოკი-კარდიფი
სანდერლენდი-ჩელსი
სუონსი-ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი
ფულჰემი-ტოტენჰემი

**XV ტური. 7 დეკემბერი**

არსენალი-ევერტონი
კრ. პალასი-კარდიფი
ფულჰემი-ასტონ ვილა
ლივერპული-ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი
საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-ჩელსი
სანდერლენდი-ტოტენჰემი
სუონსი-ჰალი
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი

**XVI ტური. 14 დეკემბერი**

ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ
კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი-კრ. პალასი
ევერტონი-ფულჰემი
ჰალი-სტოკი
მანჩესტერ სიტი-არსენალი
ნიუკასლი-საუთჰემპტონი
ნორვიჩი-სუონსი
ტოტენჰემი-ლივერპული
ვესტ ჰემი-სანდერლენდი

**XVII ტური. 21 დეკემბერი**

არსენალი-ჩელსი
კრ. პალასი-ნიუკასლი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
ლივერპული-კარდიფი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი
სტოკი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-ნორვიჩი
სუონსი-ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი-ჰალი

**XVIII ტური. 26 დეკემბერი**

ასტონ ვილა-კრ. პალასი
კარდიფი-საუთჰემპტონი
ჩელსი-სუონსი
ევერტონი-სანდერლენდი
ჰალი-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ლივერპული
ნიუკასლი-სტოკი
ნორვიჩი-ფულჰემი
ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი
ვესტ ჰემი-არსენალი

**XIX ტური. 28 დეკემბერი**

ასტონ ვილა-სუონსი
კარდიფი-სანდერლენდი
ჩელსი-ლივერპული
ევერტონი-საუთჰემპტონი
ჰალი-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-კრ. პალასი
ნიუკასლი-არსენალი
ნორვიჩი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-სტოკი
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი

**XX ტური. 1 იანვარი**

არსენალი-კარდიფი
კრ. პალასი-ნორვიჩი
ფულჰემი-ვესტ ჰემი
ლივერპული-ჰალი
მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
საუთჰემპტონი-ჩელსი
სტოკი-ევერტონი
სანდერლენდი-ასტონ ვილა
სუონსი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი

**XXI ტური. 11 იანვარი**

ასტონ ვილა-არსენალი
კარდიფი-ვესტ ჰემი
ევერტონი-ნორვიჩი
ფულჰემი-სანდერლენდი
ჰალი-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-სუონსი
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი
სტოკი-ლივერპული
ტოტენჰემი-კრ. პალასი

**XXII ტური. 18 იანვარი**

არსენალი-ფულჰემი
ჩელსი-მანჩესტერ იუნ
კრ. პალასი-სტოკი
ლივერპული-ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი-კარდიფი
ნორვიჩი-ჰალი
სანდერლენდი-საუთჰემპტონი
სუონსი-ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი
ვესტ ჰემი-ნიუკასლი

**XXIII ტური. 28 იანვარი**

ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი
კრ. პალასი-ჰალი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ იუნ-კარდიფი
ნორვიჩი-ნიუკასლი
საუთჰემპტონი-არსენალი
სანდერლენდი-სტოკი
სუონსი-ფულჰემი
ჩელსი-ვესტ ჰემი
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი

**XXIV ტური. 1 თებერვალი**

არსენალი-კრ. პალასი
კარდიფი-ნორვიჩი
ევერტონი-ასტონ ვილა
ფულჰემი-საუთჰემპტონი
ჰალი-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
ნიუკასლი-სანდერლენდი
სტოკი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული
ვესტ ჰემი-სუონსი

**XXV ტური. 8 თებერვალი**

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი
ჩელსი-ნიუკასლი
კრ. პალასი-ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი
ნორვიჩი-მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი-სტოკი
სანდერლენდი-ჰალი
სუონსი-კარდიფი
ტოტენჰემი-ევერტონი

**XXVI ტური. 11 თებერვალი**

არსენალი-მანჩესტერ იუნ
კარდიფი-ასტონ ვილა
ჰალი-საუთჰემპტონი
სტოკი-სუონსი
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი
ვესტ ჰემი-ნორვიჩი
ევერტონი-კრ. პალასი
ფულჰემი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
ნიუკასლი-ტოტენჰემი

**XXVII ტური. 22 თებერვალი**

არსენალი-სანდერლენდი
კარდიფი-ჰალი
ჩელსი-ევერტონი
კრ. პალასი-მანჩესტერ იუნ
ლივერპული-სუონსი
მანჩესტერ სიტი-სტოკი
ნიუკასლი-ასტონ ვილა
ნორვიჩი-ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი

**XXVIII ტური. 1 მარტი**

ასტონ ვილა-ნორვიჩი
ევერტონი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-ჩელსი
ჰალი-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი-ლივერპული
სტოკი-არსენალი
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი
სუონსი-კრ. პალასი
ტოტენჰემი-კარდიფი

**XXIX ტური. 8 მარტი**

არსენალი-სუონსი
კარდიფი-ფულჰემი
ჩელსი-ტოტენჰემი
კრ. პალასი-საუთჰემპტონი
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა
ნიუკასლი-ევერტონი
ნორვიჩი-სტოკი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ჰემი-ჰალი

**XXX ტური. 15 მარტი**

ასტონ ვილა-ჩელსი
ევერტონი-კარდიფი
ფულჰემი-ნიუკასლი
ჰალი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ლივერპული
საუთჰემპტონი-ნორვიჩი
სტოკი-ვესტ ჰემი
სანდერლენდი-კრ. პალასი
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი-არსენალი

**XXXI ტური. 22 მარტი**

ასტონ ვილა-სტოკი
კარდიფი-ლივერპული
ჩელსი-არსენალი
ევერტონი-სუონსი
ჰალი-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
ნიუკასლი-კრ. პალასი
ნორვიჩი-სანდერლენდი
ტოტენჰემი-საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ

**XXXII ტური. 29 მარტი**

არსენალი-მანჩესტერ სიტი
კრ. პალასი-ჩელსი
ფულჰემი-ევერტონი
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა
საუთჰემპტონი-ნიუკასლი
სტოკი-ჰალი
სანდერლენდი-ვესტ ჰემი
სუონსი-ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი

**XXXIII ტური. 5 აპრილი**

ასტონ ვილა-ფულჰემი
კარდიფი-კრ. პალასი
ჩელსი-სტოკი
ევერტონი-არსენალი
ჰალი-სუონსი
მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ლივერპული

**XXXIV ტური. 12 აპრილი**

არსენალი-ვესტ ჰემი
კრ. პალასი-ასტონ ვილა
ფულჰემი-ნორვიჩი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ჰალი
საუთჰემპტონი-კარდიფი
სტოკი-ნიუკასლი
სანდერლენდი-ევერტონი
სუონსი-ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი

**XXXV ტური. 19 აპრილი**

ასტონ ვილა-საუთჰემპტონი
კარდიფი-სტოკი
ჩელსი-სანდერლენდი
ევერტონი-მანჩესტერ იუნ
ჰალი-არსენალი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი-სუონსი
ნორვიჩი-ლივერპული
ტოტენჰემი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-კრ. პალასი

**XXXVI ტური. 26 აპრილი**

არსენალი-ნიუკასლი
კრ. პალასი-მანჩესტერ სიტი
ფულჰემი-ჰალი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-ნორვიჩი
საუთჰემპტონი-ევერტონი
სტოკი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-კარდიფი
სუონსი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი

**XXXVII ტური. 3 მაისი**

არსენალი-ვესტ ბრომვიჩი
ასტონ ვილა-ჰალი
ჩელსი-ნორვიჩი
კრ. პალასი-ლივერპული
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი
ნიუკასლი-კარდიფი
სტოკი-ფულჰემი
სუონსი-საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

**XXXVIII ტური. 11 მაისი**

კარდიფი-ჩელსი
ფულჰემი-კრ. პალასი
ჰალი-ევერტონი
ლივერპული-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი
ნორვიჩი-არსენალი
საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ
სანდერლენდი-სუონსი
ტოტენჰემი-ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი



ინგლისის 2013 წლის ჩემპიონი მანჩესტერ იუნაიტედი გახდა

● არგენტინული ტურნე



გონსალო ტიესი

# ქართველებთან მძიმე მატჩი გველის

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები არგენტინაში იმყოფება და მასპინძლებთან შაბათს გასამართი მატჩისთვის ემზადება. სამწუხაროდ, დეტალური ინფორმაცია ჩვენი გუნდის მზადების შესახებ არ გვაქვს. სამაგიეროდ, არგენტინის რაგბის კავშირი რეგულარულად აქვეყნებს სტატიებს საკუთარი გუნდის შესახებ.**

არგენტინელები „ბორჯღალოსნებთან" საასპარეზოდ დიდი მონდომებით ემზადებიან. გუშინ „პუმებმა" სან ანდრეს კოლეჯის ბაზაზე ივარჯიშეს. ჩვენი მომავალი მეტოქის წვრთნას ამ კოლეჯის 200 მოსწავლე დაესწრო, რომლებსაც ვარჯიშის დასრულების შემდეგ არგენტინელი მორაგბეები დიდხანს ესაუბრებოდნენ და ავტოგრაფებსაც სიამოვნებით ურიგებდნენ.

დილის ვარჯიშზე „პუმებმა" ყურადღება რაკისა და მოლის განმენდას დაუთმეს. მერე დერეფანში ბურთის აგდებაზე იმუშავეს, როგორც დაცვის, ისე შეტევის შემთხვევაში. სალამოს ვარჯიშის წინ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** მოთამაშეებს ჯერ ვიდეო ანალიზი უჩვენა. მერე კი მოედანზე წინაალმდეგობის პირობებში შეტევის ორგანიზების დახვეწას დაუთმო საკამოდ დიდი დრო.

ბავშვების და განსაკუთრებით არგენტინული მედიის ყურადღების ცენტრში გუნდის კაპიტანი **გონსალო ტიესი** მოექცა, რომელმაც მომავალ მატჩზე ბევრი ისაუბრა.

*„ძალიან გამიხარდა, ეროვნული ნაკრების კაპიტნობა რომ მანდეს. ძალიან ამაყი ვარ, თუმცა კარგად მესმის ეს რამხელა პასუხისმგებლობაცაა. მითხრეს, გუნდში ყველაზე ასაკოვანი ხარ და ეს ტვირთი შენ უნდა ზიდოო. არადა, 28 წლის ვარ, ვფიქრობ, ცოტა ნაადრევიცაა ჩემი კაპიტნობა. ეს საქმე არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.*

*ივნისის ტესტებზე ორი მძიმე მარცხი უკვე განვიცადეთ. ჩვენი მიზანია, შევეცადოთ, ეს ტურნე მაჟორულ ნოტზე დავამთავროთ. მთელი გუნდი დიდი მონდომებით, მუხლჩაუხრელად შრომობს და ყველაფერს ვილონებთ, რათა შაბათს კარგი თამაში ვაჩვენოთ.*

*საქართველოს ნაკრებთან მძიმე მატჩი გველის. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ დაუნდობელი ფიზიკური ბრძოლისთვის. ქართველები ფიზიკურად ძლიერები არიან და კონტაქტში მათთან თამაში ძალიან სახიფათოა. ახლა მხოლოდ მომავალ მატჩზე ვფიქრობ, ეს უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და ყველა ჩვენგანი მაქსიმალურად მობილიზებულნი ვართ. მომავლის გეგმებზე კი მერე, თამაშის დასრულების შემდეგ ვიფიქრებ.*

*ძალიან მიხარია, რომ საქართველოს ნაკრებთან თამაში სან ხუანში გვაქვს. კარგია, რომ პროვინციულ ქალაქებს ხშირად ვსტუმრობთ. ეს ქვეყანაში რაგბის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. იმედი მაქვს, რომ ადგილობრივები კარგად მიგვიღებენ და ჩვეულებისამებრ ბოლომდე, თავდადებით გვიქომაგებენ."* - თქვა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა გონსალო ტიესმა.

არგენტინელები სან ხუანში დღეს გაემგზავრებიან და საბრძოლო შემადგენლობას სანტიაგო ფელანი სალამოს დაასახელებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და არგენტინის ნაკრებების მატჩი შაბათს თბილისის დროით 23 საათსა და 10 წუთზე დაიწყება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ნუგზარ ძაგნიძის ხსოვნის დღე



**გუშინ** ქუთაისში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მორაგბის, **ნუგზარ ძაგნიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

ამიერიდან ნუგზარ ძაგნიძის სახლის ფასადს მისი მემორიალური დაფა დაამშვენებს. ამასთან ერთად, დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში შედგა ნუგზარ ძაგნიძის სპორტული კარიერის ამსახველი წიგნის პრეზენტაცია და მოეწყო ფოტოგამოფენა.

ნუგზარ ძაგნიძის ხსოვნის საპატივცემლოდ ქუთაისში, „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საბავშვო რაგბის ფესტივალი, რომელშიც ქუთაისის მოზარდ მორაგბეთა გუნდებმა იასპარეზეს.

**საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახური**

● U-20

# ვინ გაიმარჯვებს ბრიტანულ ფინალში?

**საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ორივე ნახევარფინალური მატჩი სენსაციურად დასრულდა. ევროპელებს ფინალში არავინ ელოდებოდა, თუმცა რაგბის ქომაგებს გადამწყვეტ მატჩში ბრიტანული ქვეყნების, ინგლისისა და უელსის ნაკრებების დაპირისპირებისთვის თვალის დევნება მოუწევთ.**

ახალი ზელანდიის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ამ ტურნირზეც უმთავრესი ფავორიტი იყო. თუმცა, ამჯერად, ნახევარფინალში ინგლისის ძალიან ძლიერ გუნდთან ვერას გახდა და 21:33 წააგო. „უმცროსმა პომებმა" მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს და მეტოქეს შეხვედრის ბედის სათავისოდ შემობრუნების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს.

ინგლისელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი მგეზავი **ჰენრი სლედი** იყო, რომელმაც გუნდს 18 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

გაცილებით დაძაბული და დრამატული გამოდგა მეორე ნახევარფინალური წყვილის დაპირისპირება. სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა უელსელ თანატოლებთან მატჩი ბოლო წუთზე წააგო - 17:18. „უმცროსი ბოკე" ანგარიშში წინ მთელი მატჩის განმავლობაში იყო, თუმცა თამაშის მიწურულს დაცვაში დაშვებული შეცდომა ძვირად დაუჯდა.

მატჩის დასრულებამდე ერთი წუთი იყო დარჩენილი. სამხრეთაფრიკელები ექვსი ქულის სხვაობით იგებდნენ - 17:11. უელსელთა ბოლო იერიშისას მგეზავმა **სემ დევისმა** მეტოქის ზურგს უკან ბურთი ფეხით გადაკიდა, მას ყველაზე ადრე გარემარბმა **ეშლი ევანსმა** მიუსწრო, რომელმაც ლელოში შეალწია.

გამარჯვებისთვის ეს საკამრისი არ იყო, რადგან ამით ანგარიში მხოლოდ ერთ ქულამდე შემცირდა. თავი ისევ დევისმა გამოიჩინა, მან საკმაოდ ძნელი პოზიციიდან გარდასახვა ზუსტად დაარტყა და „წითელ ურჩხულებს" გამარჯვება მოუტანა - 18:17.

ფინალი, რომელიც 23 ივნისს გაიმართება, კიდევ უფრო ამოუცნობი იქნება. არადა, ბრიტანული დაპირისპირება ბევრად უფრო მძაფრ ბრძოლას გვპირდება.

| U-20 | |
|---|---|
| **IX ადგილისთვის** | |
| სამოა-ფიჯი | 19:18 |
| შოტლანდია-აშშ | 39:3 |
| **V ადგილისთვის** | |
| არგენტინა-ავსტრალია | 22:15 |
| ირლანდია-საფრანგეთი | 8:9 |
| **ნახევარფინალი** | |
| სამხეთ აფრიკა-უელსი | 17:18 |
| ახალი ზელანდია-ინგლისი | 21:33 |
| **23 ივნისი** | |
| **XI ადგილისთვის** | |
| ფიჯი-აშშ | |

| | |
|---|
| **IX ადგილისთვის** |
| სამოა-შოტლანდია |
| **VII ადგილისთვის** |
| ავსტრალია-ირლანდია |
| **V ადგილისთვის** |
| არგენტინა-საფრანგეთი |
| **III ადგილისთვის** |
| ახ.ზელანდია-ს.აფრიკა |
| **ფინალი** |
| ინგლისი-უელსი |

**ბესიკ ჯანგავაძე**



ახალი ზელანდია-ინგლისი

● ტესტები

# ლოუმ იქორწინა და დაბრუნდა

**სამხრეთ აფრიკის ნაკრები მომავალ უქმეებზე ამ ქვეყანაში მიმდინარე ოთხთა ტურნირზე ბოლო შეხვედრას სამოას ეროვნულ გუნდთან გამართავს. კუნძულელები წლეულს უძლეველები არიან და საინტერესოა, „ბოკესთან" მატჩში შეძლებენ თუ არა მოპოვებული ავტორიტეტის შენარჩუნებას.**

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა** შერკინებაში სამი ცვლილება განახორციელა. ძირითად შემადგენლობაში **მარსელ კუციას, არნო ბოთასა და ივანდერ კრუხერის** ნაცვლად **ფრანსუა ლოუ, ვილემ ალბერტსი** და **ფლიპ ფან დერ მერვე** ითამაშებენ. ამათგან ორს, ალბერტს და ფან დერ მერვეს მცირე ტრავმები აწუხებდათ. ფრანსუა ლოუმ კი, გასულ უქმეებზე ოჯახი შექმნა და შოტლანდიასთან მატჩი ამიტომ გამოტოვა.

„მიხარია, რომ სამივე მატჩისთვის მეტ-ნაკლებად შევძელით სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნება. განსაკუთრებით ეს უკანა ხაზს ეხება. მომავალი მეტოქე, სამოას ნაკრები ძალიან ძლიერი მეტოქეა და გუნდის ნებისმიერ წევრს დიდი გამოცდა ელის." - განაცხადა „ბოკეს" თავკაცმა ჰეინკე მეიერმა.

**სამხრეთ აფრიკა**

15. ვილი ლე რუ, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. ჟეი ჟეი ენგელბერხტი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბიონ ბესონი, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ფლიპ ფან დერ მერვე, 6. ფრანსუა ლოუ, 7. ვილიამ ალბერტსი, 8. პიერ სპისი.

16. ბიმარკ დუ პლესი, 17. ტრევორ ნიკანე, 18. კონი ოსტჰუიზენი, 19. ივანდერ კრუხერი, 20. მარესლ კუცია, 21. პიტ ფან ზილი, 22. პატრიკ ლამბიე, 23. იან სერფონტეინი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ერთი დებიუტანტი ვოლაბებში

**ავსტრალიის** ნაკრები შაბათს ივნისის ტესტებზე „ბრიტანელ ლომებს" პირველად დაუპირისპირდება. „ვოლაბების" მთავარ მწვრთნელს **რობი დინსს** საბრძოლო რაზმი დღეს უნდა დაესახელებინა, თუმცა ნაკრების ბანაკიდან ინფორმაციამ გაჟონა და ავსტრალიურმა გაზეთმა „სიდნეი მორნინგ ჰერალდმა" გუნდის სავარაუდო შემადგენლობა გამოაქვეყნა.

ყველასთვის მოულოდნელად დინსს **ქართლი ბეილი** სათადარიგოთა შორის დაუსვამს. მგეზავი კი **ჯეიმზ ოკონორი** იქნება, რომელიც ახალგაზრდა კია, მაგრამ დიდი ხანია ეროვნულ გუნდში ასპარეზობს. როგორც ჩანს, დინსმა გადაწყვიტა, რომ დროა ოკონორი ნამდვილ ლიდერად ჩამოყალიბდეს.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ერთი დებიუტანტი, გარემარბი **იზრაელ ფოლაუ**. ის **ბერიკ ბარნსის** პოზიციას დაიკავებს, რომელიც რობი დინსმა ფულბეკად გაამწესა.

ავსტრალიელებთან მატჩისთვის „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობა დღეს გახდება ცნობილი.

**ავსტრალია**

15. ბერიკ ბარნსი, 14. იზრაელ ფოლაუ, 13. ადამ ეშლი-კუპრი, 12. კრისტიან ლეალიფანო, 11. დიგბი იოანე, 10. ჯეიმზ ოკონორი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტფან მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. ჯეიმზ ჰორვილი, 5. კენ დუგლასი, 6. ბენ მუვენი, 7. მაიკლ ჰოპერი, 8. ვიკლიფი პალუ.

16. საია ფაინიგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. სეკოპე კეპუ, 19. რობ საიმონსი, 20. ლიამ გილი, 21. ნიკ ფილიპსი, 22. ქართლი ბეილი, 23. პატ მაკკები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა. ჭაბუკები

# ბრინჯაოს ვერ ავცდით

ქართველმა ჭაბუკმა „თავისუფლებმა" კიდევ ერთი ბრინჯაო მოიპოვეს ჩერნოგორიულ ბარიში მიმდინარე ევროპის პირველობაზე. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს კონტინენტის მესამე პრიზიორები **ალექსანდრე კილაძე** (42) და **რამაზ ზოიძე** (58) გახდნენ, გუშინ კი ასეთივე წარმატებას **შმაგი თოდუამ** (46) მიაღწია. სამწუხაროდ, პირველი დღისგან განსხვავებით, გუშინ **ემზარ ბედინეიშვილის** სხვა შეგირდთაგან (სხვათა შორის, ეს მისი სადებიუტო შეჯიბრება იყო პირველხარისხოვან ტურნირზე მთავარი მწვრთნელის რანგში) მედლისთვის არავის უჭიდავია...

შმაგი თოდუა გუნდის უმთავრეს ლიდერთა შორისაა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი სომეხ **ჰაიკ ბადალიანს** სუფთად მოუგო – 7:0. ამას რუსთა მომავალ ფინალისტ **ისმაილ გაჯიევთან** წაგება მოჰყვა - 2:9, სანუგეშოში კი ბერძენი **ნიკოლაოს ალექსანდროს დრაგაცკისი** კვლავაც 7:0, ხოლო დამამშვიდებლის ფინალში მოლდოველი **ვიტალი ბუნიცი** 10:3 დაჯაბნა.

გუშინ ჩვენგან კიდევ ოთხი ფალავანი ასპარეზობდა, მაგრამ ოთხივემ ადრევე წააგო და ვერც სანუგეშოში გაალწიეს. იმათგან ყველაზე მეტად **ედუარდ ნიკოლიშვილმა** (63) იყოჩაღა – ორი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. მან ტურნირი ძალზე ძლიერად დაიწყო და ორივე პაექრობაში წმინდად იმარჯვა -იტალიელ **ანტონიო ჯუზეპე ვარელას** 8:0 მოუგო, პოლონელ **მატეუშ დარიუშ კამპიკს** - 9:2, მაგრამ მესამე წრეში თურქთა მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ენეს უსლუსთან** უკვე თვითონ დათმო სუფთად – 0:7.

დანარჩენები პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ - **რამაზან მალაკოევი** (54) მოლდოველმა **პეტრუ იოვუმ** 8:0 დაჯაბნა, ოღონდ ორი პერიოდის ჯამში, **გიორგი გიორგობიანმა** (76) თურქთა კიდევ ერთ მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ტოლგა გონელთან** 3:7 წააგო, **გივი მაჭარაშვილი** (100) კი უკრაინელ **ვიქტორ მანდრიკასთან** დაძაბულ პაექრობაში გამოეთიშა ტურნირს – 0:1; 0:1.

აქვე პირველი დღის რამდენიმე საინტერესო მომენტზეც შევჩერდებით, რადგან ორგანიზატორებმა წილისყრის ბადეების დადება ინებეს და მოგვეცა საშუალება, გვენახა ჩვენებურთა განვლილი გზა. როგორც გუშინ ვწერდით, იმ ხუთეულიდან ოთხმა იჭიდავა ბრინჯაოსთვის და ორმა მოიგო... იმათგან შედეგებით განსაკუთრებით რამაზ ზოიძე და **ტარიელ გაფრინდაშვილი** (69) გამოირჩეოდნენ. ზოიძე მეორე წრეში თურქთა მომავალ ფინალისტ **სელიმ კოზანთან** 1:4 დამარცხდა, სანუგეშოში კი სამ ორთაბრძოლაში იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე მოგებული ოთხი შეხვედრიდან ორი წმინდად დაამთავრა. ორი მოგების შემდეგ ნახევარფინალში გაფრინდაშვილიც მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, სომეხ **ტიგრან მნაცაკანიანთან** დამარცხდა დაძაბულ პაექრობაში – შესვენებამდე მეტოქემ 7 : 4 იმარჯვა, მეორე ნახევარი კი ჩვენებურმა მოიგო 6:4, თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მაინც სომეხს დარჩა – 11:10. გაფრინდაშვილმაც ორჯერ იმარჯვა წმინდად. მათ შორის, ერთი – ძირითად ბადეში უკრაინის სახელით მოჭიდავე **ალფეს დოლიძესთან** მოიგო.

კილაძეც ნახევარფინალში დამარცხდა უკრაინელ **ვიქტორ ტერზისთან**, რაც ძირითად ბადეში ორჯერ იმარჯვა, **ვაჟა ომარაშვილმა** (85) კი ძირითადშიც და სანუგეშოშიც თითო პაექრობა მოიგო. მან ჯერ თურქთა მომავალ ფინალისტ **ენეს ალტუნთან** წააგო, მერე - ბულგარელ **ვედატ ისმაილოვთან**. ფრიად გულდასაწყვეტი და მოულოდნელი იყო გუნდის კიდევ ერთი ლიდერის და სხვებთან შედარებით გამოცდილი **გიორგი პასიკაშვილის** (50) წაგება პირველივე წრეში სომეხ **ვაჰე მატინიანთან** – 3:12, თუმცა კიდევ უფრო აუხსნელია სანუგეშოში ასევე პირველივე წრიდან გამოვარდნა ბულგარელ **მიკაილ სალიმ ნაიმთან** – 2:7.

დღეს ევროპის ჩემპიონატში უკვე გოგოები ჩაებმებიან, სადაც დებიუტი გვექნება. მოგეხსენებათ, ჩერნოგორიაში ორი მონაწილე გვეყოლება – **გვანცა კარელიძე** (38) და **ანი ნაზარაშვილი** (49), რომლებიც დღეს იასპარეზებენ. კარელიძე, რომელმაც ცოტა ხნის წინ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ისტორიული მედალი – ბრინჯაო მოიპოვა, შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაებმება ნორვეგიელ **რამონა ერიქსენთან** შეხვედრით, ნაზარაშვილი კი პირველივე წრეში იჭიდავებს ფინელ **იანიკა ანნილნა ვაკკილასთან**.


შმაგი თოდუა (მარცხნივ)

**ირაკლი თავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს თასი

# მარსაგიშვილი თასს ტრავმამ ჩამოაცილა

შაბათ-კვირას დიღომში, ძიუდოს აკადემიის დარბაზში საქართველოს თასი გათამაშდება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც წლეულს პირველად ტარდება და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირის ალტერნატივად მოგვევლინა (იმედია, მხოლოდ წლეულს). ეს მსოფლიოს პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა და, აქედან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. სწორედ ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობამ არავითარი შეღავათი არ მისცა არავის – ერთი გამონაკლისის გარდა, ნაკრების უკლებლივ ყველა ლიდერი იჭიდავებს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი თავიანთ წონებში გამოვლენ. მწვრთნელებმა ერთი შეღავათი ის დაუშვეს, რომ ნებადართულია 2 კილოგრამის გადაცილება, მაგრამ ზედა წონაში ვინმეს გამოსვლა იმ გათვლით, რომ მსოფლიოსთვის კვლავ ძველ წონას დაუბრუნდებიან, გამოირიცხა. ეს შეღავათიც იმიტომ დაუშვეს, რომ თუ ვინმეს განსაკუთრებით აწუხებს ზედმეტი წონა, როგორლაც დაიკლონ და მოახერხონ სასურველ ნიშნულთან მიახლოება, რათა მსოფლიოსთვის ბევრი არ ჰქონდეთ დასაკლები. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულია, რადგან ეს სპორტსმენებს მუდამ ფორმაში ყოფნას აიძულებს, სამომავლოდ კი იმ 2-კილოგრამიანი შეღავათის გაწევასაც არ აპირებენ.

ის ერთადერთი ლიდერი, ვისაც მწვრთნელები ახლა ასვენებენ, **დავით მარსაგიშვილია** (84), მიზეზი კი მეტად არასასურველია – საზარდულის ტრავმა. არ ვიცით, ეს პრობლემა რა სიმძიმისაა და დავიტოვოთ იმედი, რომ მსოფლიოსთვის მზადებაში ხელს სერიოზულად არ შეუშლის. სწორედ ეს ტრავმა გახდა მიზეზი იტალიურ სასარიში, „ოქროს დიდ პრიზზე" მისი გამოუსვლელობისა.

შაბათს დილომში 55, 66, 84 და 120 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენებს კი ქომაგი მეორე დღეს იხილავს. გამარჯვებულები სექტემბერში ბუდაპეშტში მსოფლიოს პირველობაზე წასვლის მთავარ პრეტენდენტებად იქცევიან, თუმცა შანსი სხვებსაც მიეცემათ და თან ლიდერობის განმტკიცება მათაც მოუწევთ საერთაშორისო ტურნირში. გამარჯვებულები მსოფლიომდე, სავარაუდოდ, ერთგან იჭიდავებენ, საამისოდ კი ორი ტურნირი მოიაზრება – პოლონეთში ან სომხეთში, თუმცა გასაგებ მიზეზთა გამო, ალბათ, ერევანში წავლენ სარგსიანის მემორიალზე – იქ წასვლა ბევრად იაფი ჯდება.

**ირაკლი თავაძე**


მარჯვნივ - დავით მარსაგიშვილი

● მძლეოსნობა



# სპორტის დედოფლის საიმედო ცვლა

გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ სპორტული ზეიმისთვის მონდომებით ემზადებიან სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, რათა შეჯიბრებაზე კონკურენტუნარიანი გუნდებით წარდგნენ. ასპარეზობის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სპორტის დედოფალს". მძლეოსნობის ფედერაციის ინიციატივით 1999-2000 წლებში დაბადებულ გოგო-ბიჭებში ტალანტების გამოსავლენად სხვადასხვა ტურნირი ტარდება. ეროვნულმა სტადიონმა ამ ასაკის სპორტსმენების საქართველოს პირველობას უმასპინძლა. განსაკუთრებით **ნინო წიქვაძემ** იყოჩაღა - მისმა ნატყორცნმა ბადრომ 42,67 მეტრი იფრინა, რაც საერთაშორისო სტანდარტებს არ ჩამოუვარდება. ამ სახეობაში ვაჟთა შორის 40,98 მეტრით **ლაშა გურგენიძემ** იმარჯვა, არადა, ეს ყმაწვილი სულ ექვსი თვეა, რაც ამ სახეობაში ვარჯიშობს. პოზიციებს იმტკიცებენ სპრინტერები - **მაკა ჩაკაბერია** და **რომან ბადრიძე**, რომლებიც შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებენ შედეგებს. დაბეჯითებით რამის თქმა ჯერ ნაადრევია, მაგრამ „სპორტის დედოფალს" საქართველოში ღირსეული ცვლა რომ ეზრდება, ეს ცხადია და მას მეტი ყურადღება სჭირდება.

**კვარცხლბეკი**
**1999-2000 წ.წ.**
**გოგონები**

**100 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 12,75), 2. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 13,31), 3. სალომე მენთეშაშვილი (თბილისი, 13,65).

**100 მ. თარჯებით.** 1. ანა ლულუნიშვილი (20,34), 2. ნათია მნითური (20,54), 3. ეკა რეხვიაშვილი (სამივე - თბილისი, 22,08).

**200 მ.** 1. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 28,0), 2. სალომე მენთეშაშვილი (თბილისი, 28,1), 3. ალიონა თათარაშვილი (ფოთი, 28,7). **400 მ.** 1. მაკა სანიკიძე (ვანი, 1.05,54), 2. მეგი ლატარია (ხობი-ზუგდიდი, 1.09,64), 3. ელენე კუპრავა (მარტვილი, 1.10,02).

**800 მ.** 1. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 2.31,0), 2. ანი სანაია (მარტვილი, 2.55,8), 3. სალომე ზეიკიძე (თბილისი, 3.23,8).

**1500 მ.** 1. მარი ფხალაძე (ჭიათურა, 5.26,50), 2. გვანცა რამიშვილი (ვანი, 5.41,36), 3. ლიზა მამიკონიანი (თბილისი, 6.04,32).

**სიგრძეზე ხტომა.** 1. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 4,73), 2. ნანი წიქორიძე (ქუთაისი, 4,38), 3. ქეთი შველიძე (თბილისი, 4,37). სიმაღლეზე ხტომა. 1. ვიქტორია შიშოვალოვა (150), 2. მარიამ მნითური (145), 3. ნათია მნითური (სამივე - თბილისი, 135).

**ჭოკი.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 2,40).

**ბირთვი.** 1. სალომე თურმანიძე (8,72), 2. გვანცა ბოჭორიშვილი (ორივე - გორი, 8,22), 3. თამარ ჩოგოვაძე (თბილისი, 7,54).

**შუბი.** 1. ანა ჩოხელი (24,52), 2. მარი სარიევი (22,60), 3. სალომე ზეიკიძე (სამივე - თბილისი, 22,56),

**ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 42,67), 2. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 33,0), 3. სალომე თურმანიძე (თბილისი, 27,66).

**სამხტომი.** 1. ქეთი შველიძე (თბილისი, 9,56).

**ბიჭები**

**100 მ.** 1. რომან ბადრიძე (11,82), 2. გიორგი დობორჯგინიძე (12,32), 3. ნიკა არჩვაძე (სამივე - თბილისი, 13,19).

**110 მ. თარჯრბენი.** 1. მურთაზ მეგენეიშვილი (ქუთაისი, 21,70). 200 მ. 1. გიორგი დობორჯგინიძე (25,96), 2. დათო მაისურაძე (28,07), 3. ლუკა ყუფუნია (სამივე - თბილისი, 28,34).

**400 მ.** 1. ელგუჯა მახნიაშვილი (თბილისი, 55,45), 2. დათო ლუკავა (ზუგდიდი, 55,46), 3. ცოტნე რამიშვილი (თბილისი, 1.05,33).

**800 მ.** 1. სოინ ჰასანოვი (2.18,8), 2. დავით აბესაძე (ორივე - თბილისი, 2.18,9), 3. გიორგი გიორგაძე (ბორჯომი, 2.35,9).

**1500 მ.** 1. დავით აბესაძე (თბილისი, 4.45,48), 2. გივი ბირჩაძე (ახალციხე, 5.15,97), 3. ნიკოლოზ გიხნიაშვილი (თბილისი, 5.23,64).

**სიგრძეზე**. 1. ვლადიმერ ამირგულიანი (თბილისი, 5,32), 2. თორნიკე ფხალაძე (ჭიათურა, 5,03), 3. ირაკლი ბერუაშვილი (გორი, 5,0).

**სიმაღლეზე.** 1. ზურაბ მიქაია (თბილისი, 155), 2. ზურაბ გაფრინდაშვილი (ჭიათურა, 135), 3. ლუკა კურდღელია (ქუთაისი, 130).

**ჭოკი.** 1. საბა სოსელია (2,50), 2. ალეკო მაღალთაძე (2,40), 3. ლაშა ქარქუსაშვილი (სამივე - თბილისი, 2,20).

**ბირთვი.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 12,38), 2. დავით ოჩიგავა (აბაშა, 10,83), 3. გიორგი აბულაძე (თბილისი, 9,02).

**შუბი.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 40,83), 2. ლუკა თოდრაძე (თბილისი, 33,21), 3. ბესო ჩხაიძე (ოზურგეთი, 23,25).

**ბადრო.** 1. ლაშა გურგენიძე (თბილისი, 40,98), 2. გიორგი დავითაშვილი (სიღნაღი, 40,34), 3. დავით ოჩიგავა (აბაშა, 31,98).

**სამხტომი.** 1. ირაკლი ბერიაშვილი (გორი, 11,37).

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი გადალახა

შვეიცარიულ ლენზერჰეიდეში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში მეორე ნომრადაა განთესილი **სოფიო შაფათავა.** თბილისელმა სპორტსმენმა გუშინ საკვალიფიკაციოდან აღზევებულ ჯორჯია ბრეშას (იტალია) აჯობა - 6:2, 6:4 და მეორე წრეში გავიდა, სადაც ნასტია კოლარის (სლოვენია) მძლეველ კარინ კენელს (შვეიცარია) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მერვედფინალში სტორმ სანდერსსა (ავსტრალია) და მარტინა კუბიჩიკოვას (ჩეხეთი) შორის უძლიერესს შეხვდება, თან რეიტინგსაც გაიუმჯობესებს. ამჟამად ქალთა კლასიფიკაციაში შაფათავა 241 ქულით 229-ე ადგილზეა.

დამაჯერებლად ითამაშა ტურნირის რეიტინგფავორიტმა მაშა ზეკ-პესკირიჩმა (სლოვენია), რომელმაც მასპინძელ ჩიარა გრიმს სძლია (6:3, 6:3) და მერვედფინალში დენიზ ხაზანიუკთან (ისრაელი) გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**



სოფიო შაფათავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მხატვრული ტანვარჯიში

# უხვი ნადავლით

თურქეთსა და საფრანგეთში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირები გაიმართა. შეჯიბრებებში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. სტამბოლში 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ჩვენებურთაგან **ბელა კობალაძისა** და **ინგა კიკვაძის** ხელმძღვანელობით 16-წლამდელებში თავი გამოიჩინა **გაბრიელა ხვედელიძემ**, რომელმაც მრავალჭიდში 58,75 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზი მოიპოვა. გამარჯვებულს 8 ქულით ჩამორჩა უკრაინელი ვერონიკა ვოზნა. მესამე ადგილზეც მისი თანაგუნდელი კატერინა ჩერნოვუ გავიდა - 47,05 ქულა. უფროსების მრავალჭიდში 49 ქულით მეორე ადგილი ხვდა თბილისელ **თამარ ჭანტურიძეს**, რომელიც თურქ ბასაკ ერტეკინს 3,6 ქულით ჩამორჩა. 2002 წელში დაბადებულთა შორის ბურთითა (12,6) და რგოლით (12,8) ვარჯიშში პირველი ადგილები ერგო **თამუნა ხელაძეს**. 2003 წელს დაბადებულებში მეორე ადგილებზე გავიდნენ **ქეთევან არბოლიშვილი** (უსაგნოდ ვარჯიშში - 10,65) და ნიტა ლომიძე (რგოლით - 9,9), ხოლო სალომე ოქროპირიძემ სახტუნელათი (9,35) მესამე ადგილი დაიკავა.

კალეში (საფრანგეთი) **თინათინ ნადირაშვილმა** და **თამილა ტლაშაძემ** სამი სპორტსმენი წაიყვანეს: უფროსებში **ლიანა ცეცაძემ** მრავალჭიდში (64,4 ქულა) ყველას აჯობა. იგი, ასევე, პირველი იყო რგოლით (16,0), ბურთითა (15,75) და გურზებით (17,0), ხოლო ბაფთით (14,9) - მეორე. მრავალჭიდში ვერცხლი ხვდა კანადელ ანაბელა კოვაჩს (62,55), ხოლო თბილისელ **მედეა გათენაძეს** 61,75 ქულით მესამე ადგილი ერგო.


გაბრიელა ხვედელიძე



ლიანა ცეცაძე

16-წლამდელებში **სოფიო ფარულავა** გამოდიოდა. მრავალჭიდში მანაც 57,6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა (პირველ ადგილზე რუსი მარგარიტა მეჟინა გავიდა - 58,25), სამაგიეროდ, ბურთით, გურზებითა და ბაფთით ოქროს მედლები დაიმსახურა, რგოლით ვარჯიშში კი ვერცხლით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

## პირველი მარცხი და დაკარგული ლიდერობა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ თბილისის ჭადრაკის სასახლეში განახლდა მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით სხვადასხვა ქალაქის 12 წარმომადგენელი ეცილება ერთმანეთს პირველობას. ექვსი ტურის შემდეგ 5 ქულით **დავით ჯოჯუა** მეწინავეობდა, მაგრამ გუშინ ასპარეზობის რეიტინგფავორიტ **მიხეილ მჭედლიშვილთან** თეთრი ფიგურებით 64-ე სვლაზე დამარცხდა და ლიდერობაც დაკარგა. 5.5-5.5 ქულით **გაიოზ ნიგალიძე** (ზედიზედ სამი პარტია მოიგო, ბოლო ხუთ ტურში კი 4,5 ქულა მოაგროვა) და **კონსტანტინე შანავა** დაწინაურდნენ, რომლებმაც, შესაბამისად, **ლევან ფანცულაია** და **დავით მაღალაშვილი** დაჯაბნეს. მე-7 ტურის დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: **მერაბ გაგუნაშვილი-გიგა ყუფარაძე** 0.5:0.5, **დავით ლომსაძე-დავით ზარქუა** 1:0, **ფრიდონ ყალაგაშვილი-ლუკა პაიჭაძე** 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: შანავა, ნიგალიძე - 5.5-5.5, ჯოჯუა, პაიჭაძე - 5-5, მჭედლიშვილი - 4.5, გაგუნაშვილი - 4, ფანცულაია, ყუფარაძე - 3.5, მაღალაშვილი, ლომსაძე - 2.5-2.5, ზარქუა - 0,5, ყალაგაშვილი - 0 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ყუფარაძე-შანავა, მჭედლიშვილი-მაღალაშვილი, პაიჭაძე-ჯოჯუა, ფანცულაია-ყალაგაშვილი, ზარქუა-ნიგალიძე, გაგუნაშვილი-ლომსაძე.

## მეწინავეებს ჩამორჩებიან

ხუთი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს კარენს ასრიანის მე-6 მემორიალში, რომელსაც სომხური ჯერმუკი მასპინძლობს. გუშინ მე-4 ტურში წარმატებით ითამაშეს ანა შამათავამ, ნინო ხომერიკმა და ნოე თუთისანმა, რომლებმაც, შესაბამისად, იერჯან ილიშევს (ყაზახეთი), იურიკ ჰაკობიანს (სომხეთი) და არმენ უნანიანს (სომხეთი) სძლიეს, დავით არუთინიანი სამველ ტერ-სააკიანს (სომხეთი) დაუზავდა, ნატო იმნაძემ კი ანდრეი გომოვეცთან (ბელარუსი) წააგო. ტურნირზე ერთპიროვნულად დაწინაურდა სომეხი რობერტ ჰოვანესიანი, რომელმაც თანამემამულე ჰოვანეს გაბუზიანს გააჩერებინა საათი და 4 ქულა მოაგროვა. ჩვენებურთაგან დავით არუთინიანს 3 ქულა, დანარჩენებს კი 2-2 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**

# პირველი ტაიმ-აუტის წინ

სომხურ დილიჟანში მოჭადრაკე ქალთა გრან პრის გათამაშებაზე გუშინ მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. მეტოქეებს კვლავ მშვიდობიანად დაშორდნენ ქართველი დიდოსტატები: **ბელა ხოტენაშვილი** შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას (ბულგარეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **ნანა ძაგნიძე** და უკრაინელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანა უშენინა. ქართველი მოჭადრაკის ზავმა ჰამფი კონერუს (ინდოეთი) და ანა მუზიჩუკს (სლოვენია) ჩვენებურთან ქულებით გათანაბრების საშუალება მისცა: კონერუმ ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) დაამარცხა, მუზიჩუკმა ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) აჯობა. ოლგა გირიამ (რუსეთი) ელინა დანიელიანს (სომხეთი) გააჩერებინა საათი. თუვშინთუგს ბათჩიმეგმა (მონღოლეთი) და ჰარიკა დრონავალიმ (ინდოეთი) ზავს მოაწერეს ხელი.

ოთხი ტურის შემდეგ: ძაგნიძე, კონერუ, მუზიჩუკი - 3-3, ბათჩიმეგი, სტეფანოვა - 2,5-2,5, გირია, უშენინა - 2-2, დრონავალი, ხოტენაშვილი - 1,5-1,5, დანიელიანი, კოსინცევა, ჩმილიტე - 1-1 ქულა.

გრან პრის მონაწილენი დღეს დაისვენებენ. ხვალ კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: დრონავალი - ჩმილიტე, დანიელიანი - ბათჩიმეგი, უშენინა - გირია, კოსინცევა - ძაგნიძე, ხოტენაშვილი - კონერუ, მუზიჩუკი - სტეფანოვა.

**ვაჟა დანელია**


ბელა ხოტენაშვილისა (მარჯვნივ) და ანტოანეტა სტეფანოვას შეხვედრა

# ცისინათელა მასპინძლობს

ურეკში სამი დღეა, გრძელდება 8-12 წლის მოჭადრაკეთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც 12 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი ცდის ძალებს. ტურნირში შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება. მოასპარეზეებმა უკვე მესამედი განვლეს.

8-წლიან ბიჭებში უდანაკარგოდ რატი ჩიხლაძე, **გიორგი ლომინაძე, დავით სიბაშვილი** და არსენ დავთიანი (სომხეთი) დაწინაურდნენ. გოგონებსაც ლიდერთა ოთხეული ჰყავთ: **დიანა ლოამია, ელენე წოწონავა, ლილე გუმბარიძე** და ანა პოლოსიანი (სომხეთი).

10-წლიან ბიჭებში ხუთი სამოსანია და მათგან არც ერთი ქართველი არ არის: მიქაილ ფარხადოვი, ვუგარ მანაკოვი (ორივე-აზერბაიჯანი), რაფი ჩარაზიანი, ჰაკობ ჰაკობიანი (ორივე-სომხეთი), არტიომ ტრუბჩანინოვი (რუსეთი). გოგონებში სამაია დაწინაურდა: **თეა იმნაძე, თამარ ესაძე** და ზეინაბ ისმაილზადა (აზერბაიჯანი).

12-წლიან ბიჭებში 3-3 ქულით გათამაშების ცხრილს **კოკა ბუკია,** ვუგარ ასადლი და ანდრეი მუსტაფინი (ორივე - აზერბაიჯანი) ჩაუდგნენ სათავეში. გოგონებში უდანაკარგოდ არავინ დარჩა: **ელენე კოსტავას,** ალვინა ოსიპოვას (სომხეთი) და გაბრიელა ანტოვას (ბულგარეთი) 2.5-2,5 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**



● ნატურალიზებულები

# ჰეი, ვინ მოდის მანდ...

გასულ კვირას სტატიაში „რაღა გვეშველება ფაჩულიას გარეშე" ვიმსჯელეთ საქართველოს ნაკრების ტანმაღალ კალათბურთელებზე. ოღონდ ყურადღება გავამახვილეთ სანაკრებო დონეზე გამოცდილებზე. მწვრთნელს შეუძლია ახალწვეულებიდან საუკეთესოები ძირითად ბირთვს დაახმაროს და მივიღოთ საინტერესო ნაზავი, თუმცა ეს ცალკე სტატიის თემაა. მათზე, ვისაც გაფართოებული შემადგენლობიდან 12-კაციან განაცხადში მოხვედრის შანსი აქვს (როგორც უკანახაზელებს, ასევე ფორვარდებსა და ცენტრებს), მოგვიანებით დავწერთ. დღეს ამერიკელებს მივხედოთ.

ლატვიის ნაკრების თავკაცმა **აინარს ბაგაცკისმა** თქვა, ამა თუ იმ ეროვნულ გუნდს ლეგიონერი ორ შემთხვევაში სჭირდება: თუ გუნდს ერთი უცხოელის დამატების შემდეგ კონკრეტულად რამე შედეგის მიღწევის შანსი გაუჩნდება და მეორე - თუ ნატურალიზებული ადგილობრივებს ზრდაში ეხმარება.

ლატვიელი სპეციალისტის სიტყვები ქართულ ჭრილში განვიხილოთ. შარშან ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაშობდა **ჯეიკობ პულენი**, რომელიც მაშინ 23 წლისა და საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე გამოუცდელი იყო. შესაბამისად, მისგან ადგილობრივები ბევრს ვერაფერს ისწავლიდნენ. რაც შეეხება შედეგს, პულენი დაგვეხმარა ჯგუფიდან გამსვლელ სამ გუნდს შორის მოხვედრაში. ასე რომ, თუ ბაგაცკისის ფილოსოფიით ვიმსჯელებთ, ჯეიკობის დამატება გაუმართლებელი იყო იმიტომ, რომ მისგან ბევრს ვერ ვისწავლიდით და გამართლებული იყო იმიტომ, რომ იმ დონისა ნამდვილად გახლდათ, ნაკრებს ჯგუფიდან გასვლაში დახმარებოდა.

გავიდა ერთი წელი და ჩვენი ნაკრების მიზნებიც შეიცვალა. თუ შარშან სამეულში მოხვედრას ბოსნიის, ლატვიის, ჰოლანდიისა და რუმინეთის ნაკრებებს შორის მოხვედრილ გუნდს ვთხოვდით, წლეულს ევრობასკეტზე ვითამაშებთ და სამეულისთვის დავეჭიდებით ესპანეთს, ხორვატიას, სლოვენიას, პოლონეთსა და ჩეხეთს. პულენმა სეზონი ისრაელში დაიწყო, გაზაფხულიდან კი იტალიურ „ვირტუსში" გადავიდა, 20-30 ქულას ხშირად აგროვებდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთ სეზონში პულენი იმდენად გაიზარდა (პროფესიულად), რომ ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან გაგვიყვანოს. ამას არც სხვა რომელიმე ექსტრა-კლასის ნატურალიზებულ ამერიკელს დავავალდებულებთ, მაგრამ 2011 წლის ევრობასკეტის მაგალითი საკმარისი უნდა იყოს შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

აი, რას ვგულისხმობთ: 2011 წელს ლიტვაში საქართველოს ნაკრებს **მარკიზ ჰეინსი** დაემატა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთი სეზონი ჰქონდა ჩატარებული ევროპაში (ფრანგულ „შალონში"). პიროვნულად კარგი ბიჭი ჩანდა, უკრაინელთა ამერიკელზე, **სტივ ბურტზე** უკეთესადაც გამოიყურებოდა, მაგრამ ბულგარელ **ერლ როულანდს** რომ შეეჭიდა, ბევრი არაფერი გამოუვიდა. გავიდა რამდენიმე დღე და ჰეინსს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** მაკედონიელი **ბო მაკალები** ჩააბარა: ბოლო შეტევაში მაკალებისთვის ხელი სწორედ მარკიზს უნდა შეეშალა, მაგრამ მაკედონიელთა ამერიკელი ჯერ ჰეინსს დაუსხლტა, შემდეგ ფარქვეშ დახვედრილ ცქიტიშვილს და ორი ქულის სხვაობით წავაგეთ.


მარკის ჰეინსი მაკედონიელთა გარემოცვაში


ჯეიკობ პულენი და ბოსნიის ნაკრების ამერიკელი ზეკ რაითი

გაგახსენებთ, რომ ბულგარეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში გადამწყვეტ მომენტში თამაში საკუთარ თავზე სწორედ როულანდმა აიღო, სამქულიანიც ჩააგდო, პერიმეტრზე შედეგიანი გადაცემაც შეასრულა, ფარქვემაც შევიდა... მოკლედ, გააკეთა ის, რაც ასეთ მომენტებში გამოცდილ უკანახაზელებს ევალებათ. და თამაში მოიგო - 79:69.


ვიქტორ სანიკიძე და ბობი ბრაუნი


კობი ბრაიანტი და ჯორდან ფარმარი

ისე არ გაიგოთ, თითქოს ამა თუ იმ მარცხს უცხოელს ვაბრალებდეთ, უბრალოდ საჭირო იყო რამდენიმე ფაქტის გახსენება იმის საილუსტრაციოდ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ესპანელ, ხორვატ და სლოვენიელ უკანახაზელებთან საპაექროდ ჰეინსსა და პულენზე გამოცდილი ამერიკელი გვჭირდება. ისიც უნდა დავამატოთ: გვჭირდება იმ შემთხვევაში, თუ მისი დახმარებით ჯგუფიდან გასვლა რეალური იქნება, თორემ სხვა შემთხვევაში სჯობს ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელს მივცეთ **გიორგი ცინცაძის** შემცვლელის სტატუსი და სამომავლოდ სოლიდურ გამოცდილებასაც მიიღებს.

მაგრამ, რადგან კალათბურთის ფედერაცია, მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ერთად აქტიურად მუშაობს ამერიკელი უკანახაზელის ნატურალიზებაზე (არა მხოლოდ გამთამაშებლის), გამოდის, ჯგუფიდან გასვლასაც ისახავს მიზნად და ახლა ბევრიც რომ ვამტკიცოთ, საქართველოს ნაკრებში სხვა ეროვნების მოთამაშე არ გვჭირდებაო, წყლის ნაყვა იქნება.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გვითხრა, რომ იანვარში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები იტალიის „მონტეპასკის" ლიდერ **ბობი ბრაუნთან**, მაგრამ უარი შემოგვითვალა. როგორც ჩანს, თანაკლუბელი ვერც **ვიქტორ სანიკიძემ** დაითანხმა. ასევე დასახელდა „ეფესის" გამთამაშებლის **ჯორდან ფარმარის** გვარი. მანაც უარი გვითხრა. როგორც ერთი, ასევე მეორე ამერიკელი უპირველეს საკლუბო შეჯიბრებაში, ევროლიგაზე გამოცდილი კალათბურთელია. ორივეს უთამაშია NBA-ს გუნდებში, თანაც არაერთი წელი...

ბობიცა და ჯორდანიც ევრობასკეტზე საგრძნობლად გაგვაძლიერებდა, მაგრამ... არაო. თუმცა ამ გვარების დასახელებამ იმედი გაგვიღვივა: ვინაიდან კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ქართული პასპორტი მაღალი დონის კალათბურთელებს შესთავაზეს, საბოლოოდ სწორედ ასეთი შეგვრჩება.

დავინახეთ ისიც, რომ ძიება ევროლიგის კლუბებში მიმდინარეობს. იქ კი ჩვენთვის არაერთი საინტერესო გვარია, რომელთა შორისაა **ზაზა ფაჩულიას** ყოფილი („ატლანტაში") და **გიორგი შერმადინის** („ოლიმპიაკოსში") ამჟამინდელი თანაგუნდელი **ეისი ლოუ**. იგი ბერძნულ კლუბში გამთამაშებლადაც თამაშობდა და მსროლელადაც - **სპანულისთან** ხშირად ცვლიდა პოზიციებს. გასულ სეზონში მილანში გამოდიოდა 30 წლის **კეიტ ლენგფორდი...**

კიდევ არაერთი ჩვენთვის შესაფერისი უკანახაზელის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ესეც წყლის ნაყვის სფეროდან იქნება, რადგან როგორც ვიცით, ერთ გამთამაშებელთან მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული. ოღონდ ერთ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს - სამქულიანებში არ უნდა მოიკოჭლებდეს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს ამ ციკლის მომდევნო პუბლიკაციაში წაიკითხავთ.

● ქართველები იტალიაში



## ვიქტორმა სკუდეტო აღმართა

**ვიქტორ სანიკიძე** იტალიის ჩემპიონია! ეს გახლავთ მისი პირველი ჩემპიონობა - აქამდე უთამაშია ფრანგულ „დიჟონში", ესპანურ „ესტუდიანტესში", ესტონურ „ტარტუ როკში", იტალიურ „ვირტუსში", თუმცა ამ გუნდებთან ქვეყნის ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. მიმდინარე სეზონის დასაწყისში „მონტეპასკიში" გადავიდა და ჯერ იტალიის თასი მოიგო, გუშინ კი სკუდეტო აღმართა.

ვიქტორმა ღირსეულად დააგვირგვინა **გიორგი შერმადინის** მიერ მაისში დაწყებული ქართველთა ოქროს საქმე: შერმადინმა ევროლიგა მოიგო, **გიორგი ცინცაძემ** - უკრაინის ჩემპიონატი, **მანუჩარ მარკოიშვილმა** - თურქეთის პირველობა...

„მონტეპასკიმ" იტალიის პირველობის ფინალურ სერიაში 4:1 დაამარცხა „რომა", ბოლო შეხვედრა რომში 79:63 მოუგო. სიენელთა ბომბარდირი ამერიკელი **ბობი ბრაუნი** გახდა (18 ქულა). მწვრთნელი არ ენდო ვიქტორ სანიკიძეს, რომელმაც 4 წუთში 2-2 ქულა-მოხსნა მოაგროვა.




## გარდაიცვალა ფიბა-ევროპის პრეზიდენტი

გუშინ ღამით გარდაიცვალა ფიბა-ევროპის პრეზიდენტი **ოლაფ რაფნსონი.**

50 წლის ისლანდიელი ქალაქ ჟენევაში ფიბა-ევროპის ღონისძიებაში მონაწილეობისთვის იყო ჩასული და საკუთარ ოთახში გარდაცვლილი იპოვეს. მიზეზი გუშინ არ დასახელებულა.

● ქალთა ლიგის თასი

# თასით რუსთაველებისაა

ფინალი

19 ივნისი

| რუსთავი-ქუთაისი | 79:68 |
| --- | --- |

20:11, 23:22, 19:18, 17:17

**რუსთავი:** ფუტკარაძე (19ქ, 9მ, 6პ), ნ. ბაციკაძე, წინამძღვრიშვილი (2ქ), მ. ბაციკაძე (4ქ, 7მ), შალამბერიძე, ურუშაძე (3პ), წიქორიძე (9მ), საჯაია (32ქ, 24მ), მაისურაძე (22ქ, 13მ, 3ჩ).

**ქუთაისი:** ხელაია (2ქ, 5მ), ჯანაშია (6ქ), გაბრიაძე, მურღულია (2ქ), ნ. ხუბლავა (2ქ), მ. ხუბლავა, ალანია (5ქ, 16მ), მაღლაკელიძე (3ქ, 3პ, 3ჩ 11მ), მანაგაძე (19ქ, 6ჩ), ჟორჟოლიანი (13ქ, 5მ), გაბიძაშვილი (16ქ, 5მ, 4პ).

გუშინ სპორტის სამინისტროს საკალათბურთო დარბაზში ქალთა ლიგის ფინალური შეხვედრა გაიმართა. შეგახსენებთ, რომ „ქუთაისმა" ნახევარფინალში „ზესტაფონს" აჯობა, ხოლო რუსთავის „ვეჯინმა" - „ახმეტას".

ფინალში ერთმანეთს რუსთაველები და ქუთათურები დაუპირისპირდნენ და საინტერესო შეხვედრაც გამოვიდა. „ვეჯინის" კალათბურთელები თავიდან 10 ქულით კი დაწინაურდნენ, მაგრამ მესამე პერიოდში „ქუთაისმა" 51:49 გაასწრო. მალე იმერელთა ერთ-ერთმა ლიდერმა **ნელი ჟორჟოლიანმა** მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და მოედნის დატოვებამ მოუწია.

საბოლოოდ **ხათუნა საჯაიას** (32 ქულა, 24 მოხსნა) წინამძღოლობით „რუსთავმა" 79:68 იმარჯვა. ხათუნას სეზონის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდოც გადაეცა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# უიმბლდონი ვინუსის გარეშე



ვინუს უილიამსი

ამერიკელი ჩოგბურთელი **ვინუს უილიამსი** უიმბლდონს გამოტოვებს. ამის შესახებ 33 წლის მოთამაშემ საკუთარ "ფეისბუქზე" დაწერა. უარის მიზეზია ჩოგბურთელის ზურგის ტრავმა.

*"სამწუხაროდ, ვერ შევძლებ წელს უიმბლდონზე გამოსვლას. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ყოველთვის სიამოვნებით ვთამაშობდი ამ კორტებზე, მაგრამ, ახლა, ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას უნდა დავუთმო"*, - დაწერა უფროსმა უილიამსმა.

ვინუს უილიამსი უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონია და კიდევ სამჯერ უთამაშია ფინალში. ბოლოს მან ეს ტურნირი 2008 წელს მოიგო, შარშან კი პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. სხვათა შორის, 2013 წლის მაისში, მან "დიდი სლემის" კიდევ ერთი ტურნირის – როლან გაროსის პირველი წრე წააგო.

ამჟამად, ვინუს უილიამსი 34-ე ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში.

■ ■ ■

გუშინ უიმბლდონის ორგანიზატორებმა განთესილთა სია გამოაქვეყნეს. სიურპრიზი არ მოხდა - ესპანელი **რაფაელ ნადალი** ტოპ-ოთხეულში არ შეიყვანეს და ATP-ის ბოლო რეიტინგის მიხედვით მეხუთე ნომერი მიანიჭეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალში სუპერმატჩი გველის - ესპანელი **ჯოკოვიჩს, მარეის** ან **ფედერერს** შეხვდება. ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ ნადალი ამ ეტაპზე მეოთხე ნომერ ფერერს შეხვდეს.

**კაცები**

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)
2. ენდი მარეი (ბრიტ)
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)
4. დავიდ ფერერი (ესპ)
5. რაფაელ ნადალი (ესპ)
6. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)
8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)
9. რიშარ გასკე (საფ)
10. მარინ ჩილიჩი (ხორ)
11. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)
12. კეი ნიშიკორი (იაპ)
13. ტომი ჰაასი (გერ)
14. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)
15. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)
16. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)
17. მილოშ რაონიჩი (კან)
18. ჯონ ისნერი (აშშ)
19. ჟილ სიმონი (საფ)
20. მიხაილ იუჟნი (რუს)
21. სემ კუერი (აშშ)
22. ხუან მონაკო (არგ)
23. ანდრეას სეპი (იტა)
24. იერჟი იანოვიჩი (პოლ)
25. ბენუა პერი (საფ)
26. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)
27. კევინ ანდერსონი (ს. აფრ)
28. დერემი შარდი (საფ)
29. გრიგორ დიმიტროვი (ბულ)
30. ფაბიო ფონინი (იტა)
31. ჟულიან ბენეტო (საფ)
32. ტომი რობრედო (ესპ)

**ქალები**

1. სერენა უილიამსი (აშშ)
2. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)
3. მარია შარაპოვა (რუს)
4. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)
5. სარა ერანი (იტა)
6. ნა ლი (ჩინ)
7. ანჟელიკ კერბერი (გერ)
8. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)
9. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)
10. მარია კირილენკო (რუს)
11. რობერტა ვინჩი (იტა)
12. ანა ივანოვიჩი (სერ)
13. ნადია პეტროვა (რუს)
14. სამანტა სტოსური (ავსტრა)
15. მარიონ ბარტოლი (საფ)
16. ელენა იანკოვიჩი (სერ)
17. სლოუნ სტივენსი (აშშ)
18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვა)
19. კარლა სუარეს ნავარო (ესპ)
20. კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)
21. ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)
22. სორანა კირსტეა (რუმ)
23. საბინ ლისიცკი (გერ)
24. შუაი პენგი (ჩინ)
25. ეკატერინა მაკაროვა (რუს)
26. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)
27. ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)
28. ლუსი საფაროვა (ჩეხ)
29. ტამირა პაჩეკი (ავსტრია)
30. ალიზ კორნე (საფ)
31. მონა ბარტელი (გერ)
32. რომინა ოპრანდი (შვეიც)

ფორმულა 1

# კიმი რედ ბულში – ალბათობა დიდია



კიმი რაიკონენი

ფორმულა 1-ის პილოტთა ბაზარზე მცირე პაუზაა, რის შემდეგაც, სავსებით შესაძლებელია, "აფეთქება" მოხდეს: რამდენიმე გუნდი ელოდება **კიმი რაიკონენის** გადაწყვეტილებას.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე გავრცელდა პირველი ჭორი იმის შესახებ, რომ ფინელით "რედ ბულია" დაინტერესებული. ავსტრიული საჯინიბო სწორედ კიმით ფიქრობს **მარკ უებერის** შეცვლას, რომლის კარიერა ფორმულა 1-ში, სავარაუდოდ, დასასრულს მიუახლოვდა. ფინური ტელეკომპანიის MTV3-ის ჟურნალისტი ოსკარი საარი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

*"რედ ბულის" კონსულტანტმა ჰელმუტ მარკომ კანადაში ხაზი გაუსვა იმას, რომ საკადრო გადაწყვეტილებებს აგვისტოში, საზაფხულო შესვენების დროს მიიღებენ, - განაცხადა საარიმ. – ვფიქრობ, პირველ რიგში, ეს გუნდი დაინტერესებულია კიმი რაიკონენის სამსახურით. არც ის და არც სებასტიან ფეტელი აბსოლუტურად არ ღელავენ იმის გამო, რომ შეიძლება თანაგუნდელები გახდნენ. და ორივე შესანიშნავად აცნობიერებს, რომ საქმე ექნება ძალიან ძლიერ კონკურენტთან.*

*მაგრამ, რატომ მაინცდამაინც კიმი? პრინციპში, "რედ ბულში" იმედოვნებენ, რომ "ტორო როსოს" პილოტები პროფესიული თვალსაზრისით ფეტელის დონემდე გაიზრდებიან, მაგრამ, ჯერჯერობით, ისინი აქამდე არ მისულან. კარგი ბიჭები არიან, მაგრამ არასაკმარისად კარგი პილოტები.*

*ფეტელმა ახლახან გააგრძელა კონტრაქტი "რედ ბულთან" 2015 წლის ბოლომდე. რაიკონენისთვის ყოველთვის სულერთი იყო – ვინ იქნებოდა მისი თანაგუნდელი. მიუხედავად ამისა, სებასტიანი ერთ-ერთია იმ იშვიათ პილოტთაგან, ვისთანაც კიმი სარბოლო ტრასების მიღმა ატარებს უქმეებს. ეს ჯერ არაფერზე ლაპარაკობს, მაგრამ ნამდვილად არ უშლის საქმეს ხელს.*

*მიმაჩნია, რომ "რედ ბული" ყველაფერს გააკეთებს კიმის გადასაბირებლად. მაგრამ, თავად პილოტი არ იჩქარებს კონტრაქტის მოკლე დროში გაფორმებას. თუ სიტუაცია წარმატებით განვითარდა, ის საუკეთესოს აირჩევს რამდენიმე ვარიანტიდან. მაგრამ, ამ მომენტისთვის მიმაჩნია, რომ კიმის „რედ ბულში" გადასვლის ალბათობა ძალიან მაღალია - ეს სავსებით ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა".*

მძლეოსნობა

# გამოძიება დაიწყო

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იამაიკელი სპრინტერი **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი** დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი. მაისში აღებულმა დოპინგ-ტესტმა პრეპარატ დიურეტიკის კვალი დააფიქსირა, რომელიც აკრძალულია მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ.

კემპბელ-ბრაუნთან მიმართებაში დაწყებულია გამოძიება, - განაცხადეს იამაიკის მძლეოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა, თუმცა არ დაუზუსტებიათ, როდის განიხილავენ მორბენლის საქმეს. გამოძიების დასრულებამდე, სპორტსმენმა საკუთარი ინიციატივით თქვა უარი საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე. მათ შორის, კემპბელ-ბრაუნი არ გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

კემპბელ-ბრაუნი დოპინგის გამოყენების ფაქტს არ აღიარებს და ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ აღიდგინოს შელახული პრესტიჟი. თავის მხრივ, კემპბელ-ბრაუნის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატი შედიოდა იმ კრემში, რომელსაც ვერონიკა ფეხის ტრავმის მკურნალობისთვის იყენებდა და რის შესახებაც მიუთითა სპეციალური ფორმით დოპინგ-კონტროლის წინ.

31 წლის კემპბელ-ბრაუნი ყველაზე ტიტულოვანი ქალი მძლეოსანია იამაიკის სპორტის ისტორიაში. ის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია 200 მეტრზე სირბილში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **კონფედერაციათა თასი** | |
| ბრაზილია-მექსიკა | 2:0 |
| იტალია-იაპონია | გვ. დასრულდა |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხირონა-ალმერია | 0:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| შენიცა-ტრენჩინი | 0:4 |
| შახტიორი-კრასნოდარი | 2:1 |
| მარიბორი-სარაევო | 3:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბოდო გლიმტი-ოდ გრენლანდი | 2:1 |
| ჰაუგესუნდი-ალტა | 4:3 |
| ლილესტრიომი-ბრინი | 2:0 |
| მიონდალენი-ჰამ კამი | 3:2 |
| მიოლდე-რანჰაიმი | 6:0 |
| რუსენბორგი-ტრომსიო | 2:1 |
| სტარტი-სტაბეკი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპიოკარნა-ჰალმსტადი | 1:1 |
| ელფსბორგი-გეფლე | 0:0 |
| ჰაკენი-ატვიდაბერგი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| გაის-ერებრუ | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-იუვიასკიულა | 2:1 |
| იარო-ინტერი | 0:0 |
| მარიეჰამნი-კუოპიო | 4:2 |
| მიუპა-ჰიკ | 2:4 |
| ტურკუ-როვანიემი | 2:1 |
| ვაასა-ჰონკა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კაიაანი-ილვესი | 1:2 |
| ოპს-იიპო | 2:0 |
| სეინაიოენი-ვიიკინგიტი | 2:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ირაკლისი (ს)-ნიკი ვოლუ | 4:0 |
| ოლიმპიაკ. (ვ)-პანაიტოლიკოსი | 1:2 |
| **ბელარუსი** | |
| ნაფტანი-გომელი | 0:0 |
| ბატე-სლავია | 6:1 |
| დნეპრი-ტორპედო | 0:4 |
| მინსკი-დინამო (მნ) | 1:2 |
| ნემანი-ბელშინა | 2:1 |
| შახტიორი-ბრესტი | 5:0 |
| **ლიტვა** | |
| ტაურასი-ეკრანასი | 0:3 |
| შიაულიაი-კრუოია | 3:4 |
| **არგენტინა** | |
| ესტუდიანტესი-ლანუსი | 2:0 |
| **პარაგვაი** | |
| დეპ. კაპიატა-სოლ დე ამერიკა | 1:1 |
| ხენერალ დიასი-დეპ. კარაპეგუა | 1:0 |
| რუბიო ნუ-ნასიონალი | 1:0 |
| **პერუ** | |
| სპორტი-ხოსე გალვესი | 4:1 |
| ლეონი-რეალი | 1:0 |

## კალათბურთი

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| რომა-მონტეპასკი | 63:79 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-ბარსელონა | 79:71 |

## ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| რაონიჩი-**დოდიგი** | 2:6, 6:7 |
| რამოსი-**ვერდასკო** | 4:6, 0:6 |
| **ფონინი**-კლიჟანი | 6:7, 6:2, 6:2 |
| **ფ. ლოპესი**-მონაკო | 6:4, 6:4 |
| ბენეტო-**ტომიჩი** | 2:6, 7:5, 6:7 |
| **სეპი**-ჰარისონი | 3:6, 7:5, 6:3 |
| კოლშრაიბერი-**შტეპანეკი** | 5:7, 3:6 |
| **სიმონი**-ედმუნდი | 7:6, 7:6 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| **დონსკოი**-ჰაასე | 6:4, 7:5 |
| **მაუ**-კუზნეცოვი | 6:2, 6:4 |
| **ჰერნიხი**-ლოდრა | 6:7, 6:4, 7:5 |
| **გარსია ლოპესი**-ბრანდსი | 7:6, 6:2 |
| **ბაუტისტა აგუტი**-ბერლოკი | 6:2, 6:3 |
| **შარდი**-კოპილი | 7:5, 6:4 |
| ლორენცი-**ვავრინკა** | 3:6, 6:7 |
| **მალისე**-ლუ | 3:6, 6:1, 6:4 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| **საფაროვა**-სტოსური | 7:6, 6:3 |
| **ჰემპტონი**-ჰსიე | 6:4, 7:6 |
| **კირილენკო**-ბალტაჩა | 4:6, 6:4, 6:3 |
| **ვიკმაიერი**-კვიტოვა | 3:6, 6:4, 7:5 |
| რობსონი-**ვოზნიაცკი** | 4:6, 4:6 |
| კერბერი-**მაკაროვა** | 3:6, 4:6 |
| **ვესნინა**-უოტსონი | 6:1, 3:6, 6:2 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ფოგელი-**ცურენკო** | 1:6, 6:7 |
| კრაიჩეკი-**ფლიპკენსი** | 6:7, 6:7 |
| **მუგურუსა ბლანკო**-დევისი | 6:2, 6:0 |
| მედინა გარიგესი-**ციბულკოვა** | 6:2, 4:6, 3:6 |
| ვინჩი-**ჰალეპი** | 0:6, 1:6 |

TV პროგრამა

**20 ივნისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**22:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ტაიტი. ბრაზილია (LIVE).
**01:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ურუგვაი. ბრაზილია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. მეტალისტი-ლევერკუზენი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰანოვერი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ფეიენოორდი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVIII ტური. რაფაელა-ნიუელსი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. VI მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლეკინსი-კონახტი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლეიკერსი 1986-87 წლები. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. VI მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**13:05** სპორტ-NEWS.
**13:35** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.
**16:15** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-იუტა.
**20:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 17 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 18 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 16 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 18 | 26 | (მზე) |
| სიღნაღი | 17 | 25 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 20 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 10 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2062 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6478 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5749 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1301 |

16 ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. ფინალი. VI მატჩი

# ეს იყო დიდი სპექტაკლი



ალენის გადამრჩენი სამქულიანი

მეექვსე მატჩის წინ ანალიტიკოსთა აზრი იქამდე მიდიოდა, რომ **ლებრონ ჯეიმსი** საკუთარი გულშემატკივრების წინაშე პირველივე წუთებიდან მთელი თავისი ბრწყინვალებით უნდა წარმდგარიყო. მაგრამ შეხვედრის სადებიუტო ნაწილის გმირი **ტიმ დანკანი** გახდა, რომელმაც თავისი შეტევითი პოტენციალი სრულად წარმოაჩინა და პირველი რვა ტყორცნიდან ყველა მოათავსა კალათში. შესვენებისთვის, 37 წლის ვეტერანს 25 ქულა ჰქონდა დაგროვებული - იმდენი, რამდენიც დანარჩენ „სან ანტონიოს". ლებრონი კი ისევ გადაეყარა ხისტ და უსიამოვნო მეურვეობას - ამჯერად **ბორის დიაოს** შესრულებით. **გრეგ პოპოვიჩმა** ფრანგი სასტარტო ხუთეულიდანვე მიუჩინა „მეფეს".

პირველი ნახევრის ბოლო „სპურსს" დარჩა: სტუმრებმა ტემპი გაზარდეს და 17:4 გაქცევა მოაწყვეს. რომ არა პირველ მეოთხედში **მარიო ჩელმერსის** 10 ქულა, „სან ანტონიოს" უპირატესობა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. ამასთან, პოპოვიჩის შეგირდები ბრწყინვალე პროცენტით (58.0) ისროდნენ. შედეგი მოჰქონდა იმასაც, რომ „მაიამისგან" განსხვავებით, ტექსასელები ბევრს მოქმედებნენ სამწამიან ზონაში, რასაც, დიდწილად, ხელს უწყობდა დანკანის თამაში. ამასობაში, **ტონი პარკერი** დაიკარგა მოედანზე, რადგან „ჰიტის" მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ** მას მეურვედ ჯეიმსი მიუჩინა - მასზე ფიზიკურად ძლიერი ფორვარდის წინააღმდეგ ფრანგი არაეფექტური იყო.

**მანუ ჯინობილიც** შორს იყო ოპტიმალური ფორმისგან. მესამე მეოთხედის შუამდე, მას არც ერთი ქულა არ ჰქონდა მოპოვებული, ამასთან, ფლორიდელთა დაცვამ არგენტინელს ხუთი შეცდომა დააშვებინა. მიუხედავად ამისა, შესვენების შემდეგ, სტუმრები უფრო აგრესიულები იყვნენ. მას შემდეგ, რაც **მაიკ მილერმა** ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, „სან ანტონიო" 11:0 გაიქცა და ბოლო 12-წუთეულის სტარტისთვის ორნიშნა უპირატესობა მოიპოვა - 75:65. იმ მომენტისთვის დანკანის ანგარიშზე 30 ქულა და 14 მოხსნა იყო.

## მეოთხე მეოთხედი

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე მასპინძლების მწვრთნელმა თავის გუნდს საუკეთესო დაცვის ჩვენებისკენ მოუწოდა და „მაიამის" ეს თითქმის გამოუვიდა. გუნდი ლებრონის მეთაურობით საბრძოლო განწყობით გავიდა მოედანზე და დაახლოებით წუთ-ნახევარში, „სპურსის" უპირატესობა ოთხ ქულამდე დავიდა. შემდეგ კი ჯეიმსმა 10 წამის განმავლობაში დაფარებით შეაჩერა დანკანის შეტევა, რასაც მოჰყვა ორი ქულის აღება სწრაფი გაქცევის დროს - 82:82.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი „ჰიტის" მხრიდან თამაშის კონტროლით იწყებოდა: ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, მასპინძლები სამი ქულით იგებდნენ და დაცვაში ბრწყინვალედ თამაშობდნენ. სწორედ ამის გამო, პრაქტიკულად უბურთოდ იყო დარჩენილი დანკანი. სწორედ ამ მომენტში, როგორც იქნა, თავის თავზე აიღო თამაში პარკერმა. მან ჯერ არად ჩააგდო ჯეიმსის მეურვეობა და სამქულიანი მოათავსა კალათში, შემდეგ კი ჩელმერსს იოლად გაუსწორდა და ორი ქულა აიღო. სტუმრები ორი ქულით გავიდნენ წინ.

ბუნებრივია, „ჰიტის" მხრიდან სიტუაციის გამოსწორებაზე უნდა ეზრუნა ჯეიმსს, მაგრამ მან ორჯერ დაკარგა ბურთი, როცა წინდაუხედავად შეექიდა „სპურსის" მოთამაშეების ჯგუფს. ამასობაში, „სან ანტონიომ" ოთხიდან სამი საჯარიმო ჩააგდო და ხუთქულიანი უპირატესობა მოიპოვა. ასეთი ჰანდიკაპი სირენამდე 28 წამით ადრე ბევრს დაუკარგავდა ბრძოლის სურვილს. მაგრამ, არა მოქმედ ჩემპიონს!

ჯეიმსმა სამქულიანი ესროლა, რომელიც ფარს საერთოდ არ შეეხო, მაგრამ მილერმა ბურთისთვის ბრძოლა მოიგო და ისევ ლებრონს მიაწოდა, რომელმაც ზედიზედ მეორე შორეული ტყორცნა არ ააცილა. საპასუხო შეტევაში **კავაი ლეონარდმა** საჩუქარი გაუკეთა მეტოქეს - ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და „მაიამის" „მინუს სამზე" 20 წამი დარჩა ბოლო შეტევისთვის. ლეონარდს ორივე საჯარიმო რომ ჩაეგდო, გუშინ ახალ ჩემპიონს ვიხილავდით.

და ისევ, გადამწყვეტი სროლა ჯეიმსს მიანდეს, რომელმაც ისევ ააცილა სამქულიანი, მაგრამ ბურთი **კრის ბოშმა** მოხსნა და მაშინვე **რეი ალენს** გადააწოდა. ვეტერანმა პარკერის წინააღმდეგობის მიუხედავად, ზუსტად ისროლა პერიმეტრიდან - 95:95. „სან ანტონიოს" არ ეყო დარჩენილი ხუთი წამი მატჩის მოსაგებად და დაინიშნა ოვერტაიმი. მეოთხე მეოთხედში ბრწყინვალე იყო ლებრონ ჯეიმსი, რომელმაც 16 ქულა დააგროვა - ორით მეტი, ვიდრე წინა სამ მეოთხედში.

## ოვერტაიმი

დამატებით დროშიც თითქმის თანაბარი ბრძოლა იყო. როგორც გაირკვა, გადამწყვეტი იყო ლებრონის ზუსტი სროლა საშუალო მანძილიდან, რის შემდეგაც, „ჰიტი" სირენამდე წუთითა და 43 წამით ადრე წინ გავიდა - 101:100. დარჩენილ დროში, „სპურსს" თავის გამოჩენის რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ „მაიამის" დაცვამ მაქსიმალურად გაურთულა საქმე მეტოქეს. „სან ანტონიოს" ბოლო ორი სროლა ბოშმა დაბლოკა, ჯეიმსმა კი ბოლოსკენ სამმაგი დუბლი გაიფორმა (32 ქულა, 10 მოხსნა, 11 პასი).

ახლა საკალათბურთო სამყარო ელოდება სერიის კულმინაციას - მეშვიდე მატჩს, რომელიც 21 ივნისს, თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება.

**მაიამი–სან ანტონიო 103:100 (ო)**

**27:25, 17:25, 21:25, 30:20, 8:5**

**მ:** ჯეიმსი (32+11 პასი+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჩელმერსი (20), უეიდი (14+4 პასი), ბოში (10+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ს-ა:** დანკანი (30+17 მოხსნა), ლეონარდი (22+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), პარკერი (19+8 პასი).

**სერია:** 3-3




კრის ბოშის გადამწყვეტი ბრძოლ...



სამმაგი დუბლის ავტორი

## რა თქვეს მატჩის შემდეგ

**ლებრონ ჯეიმსი:** *„ეჭვგარეშეა, ეს იყო ჩემს კარიერაში საუკეთესო შეხვედრა. კმაყოფილი ვარ იმით, რომ მატჩში მოგება შევძელით, არადა, რაღაც მომენტში ისე ჩანდა, რომ ყველაფერი დაკარგული იყო".*

**ერიკ სპოელსტრა:** *„ლებრონის თამაშში დავინახე გამარჯვებისადმი უდიდესი ჟინი. ის მოედნის ორივე ნახევარზე მუშაობდა - ბუნებრივია, ძალიან რთული იყო პარკერის წინააღმდეგ თავდაცვა და პრაქტიკულად ყველა შეტევაში მონაწილეობა, აგრესიულობის შენარჩუნება, სამწამიანში შესვლა. მაგრამ, მან კატასტროფა აგვარიდა თავიდან მაშინ, როცა 10 ქულას ვაგებდით.*

*ძალიან დიდი როლი ითამაშა კრის ბოშმა. ის ლიგაში ერთ-ერთ რთულ ამოცანას წყვეტს - თამაშობს ტიმ დანკანის წინააღმდეგ, უმკლავდება პარკერის პიკ-ნ-როლებს, რაც განსაკუთრებულად რთულია მათი სნაიპერების აქტიურობის გათვალისწინებით. მაგრამ დღეს კრისი ფანტასტიკური იყო".*

**ტიმ დანკანი:** *„ასეთი წაგება იმედგაცრუების გრძნობას იწვევს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მეოთხე მეოთხედში დიდი უპირატესობა გვქონდა. უნდა შეგვენარჩუნებინა ეს ჰანდიკაპი. მაგრამ, მოხდა ის, რაც მოხდა. ახლა მხოლოდ ერთი თამაში დარჩა.*

*არ ვიცი, რა მოხდა მეოთხე მეოთხედსა და ოვერტაიმში. მე მქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ეს ძალიან გულდასაწყვეტი წაგება იყო".*

**მანუ ჯინობილი:** *„ასეთი წაგების შემდეგ თავს ცუდად გრძნობ. ძალიან რთული მომენტია. წამები გვაშორებდა ჩემპიონობამდე და შანსი ხელიდან გავუშვით. რამდენჯერმე ვერ მოვხსენით ბურთი, გამოგვეპარა რეის ურთულესი სამქულიანი, ავაცილეთ საჯარიმოები...*

*ახლა მაქსიმალურად კარგი თამაში უნდა ჩავატაროთ. უბრალოდ, საწყენია, რომ მათ ბოლო მატჩის შანსი მივეცით.*

*ჩემთვის ეს სერია „ამერიკული მთებივითაა". წინა მატჩი ძალიან კარგად ვითამაშე, დღეს კი იგივე დონე ვერ შევინარჩუნე. არადამაჯერებლად ვთამაშობდი. პირადი რეკორდი დავამყარე შეცდომების რაოდენობით (8 დაკარგვა) და ეს ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში მოხდა. თავს საშინლად ვგრძნობ. და ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან. ეს ის არის, რაზეც მთელი დღე ვფიქრებ".*

**გრეგ პოპოვიჩი:** *„ეს იყო ბრწყინვალე თამაში. ძალიან მაგარი. ოვერტაიმით. შეცდომების თამაში. და მათ მოიგეს.*

*როგორ მოვამზადებ ბიჭებს მეშვიდე მატჩისთვის? ჩავსვამ მათ ავტობუსში, გავემგზავრებით თამაშზე, გავალთ მოედანზე და ვითამაშებთ. აი, ასე მოვემზადებით".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ISSN 2233-3827

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608